1149/13.341
[stamp: ...ეროვნული ბიბლიოთეკა]




# ბურჯი ეროვნებისა

4(9)

აპრილი ● BURJI EROVNEBISA ● 1996 წელი


## ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

* * *

უკანასკნელთა ამათ წელთა ჩვენს ქვეყანაში, მეტადრე ახალგაზრდობამ მიაქცია ყურადღება ჩვენი ქვეყნისა და ერის წარსულს ცხოვრებასა, ჩვენი მამა-პაპის ისტორიასა; იწყეს აღწერა და შესწავლება მათთა ჩვეულებათა. ხშირად მოგვიწოდებენ ჩვენ ისინი მამულის, ჩვენი ქვეყნის ისტორიის სწავლასა, ჩვენი ერის არა დავიწყებასა. დიაღ, პატიოსანი არის და მოსაწონი ეს მიმართულება! მაგრამ, აქ ერთი მაკვირვებს მე და მაწუხებს: ის,რომ ახლანდელთა მწერალთა არა აქვთ საკმაოდ მიქცეული ყურადღება სწორედ იმაზე, რაც უმეტესად შესანიშნავი და უმთავრესი თვისება ჰქონდა ჩვენთა წინაპართა, რითაც იგინი იყვნენ გამხნევებულნი, აღტაცებულნი, რაც მართავდა მათ, აძლევდა ღონეს და ძალს. ეს იყო სიყვარული საღმრთო სჯულისა, მართლ-მადიდებელი ეკლესიისა. სარწმუნოებამან მათმან დაიცვა იგინი, სარწმუნოებამან გააძლებინა და მოიყვანა ვიდრე აქამომდის ჩვენი ერი!... ამაზედ ახალი მწერლები არ მიაქცევენ საკმაო ყურადღებას და ამით ივიწყებენ ჩვენი წინაპრების უმჯობესსა სამკაულსა.

გაბრიელ ეპისკოპოსი

# 14 აპრილი

## ქართული ენის დღე

* * *

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჟო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან...
დაეცეს იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავს სხეულს?..

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბისარიონ ჯორბენაძის
საზოგადოების გაზეთი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

დირექტორი
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ჭაბუკა ძირია

მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი

რედაქტორები:
ქეთევან დათუკიშვილი,
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
კორნელი დანელია,
მანანა კობაიძე,
რუსუდან ლანდია
ნანა ურთაშვილი
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ლეინჯილია,
გიორგი ჟიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
მარინე კიკონიშვილი

მარადიული თანამედროვე

## ლევან გოთუა:

# მოვუაროთ დედაენას



საქართველოს რადიოს ოქროს ფონდმა შემოგვინახა მწერალ ლევან გოთუას ჩანაწერი რადიოგადაცემიდან „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია" (გადაცემა ჩაიწერა 1971 წლის სექტემბერში). გთავაზობთ ამ ჩანაწერის ტექსტს.

ფოტო პოეტ ემელიან ქურდიანის არქივიდან (1957 წ. იბეჭდება პირველად).

არის ჩვენთვის ლამაზი მთების სიმაღლისა და მიუწვდომლობის კიდევ ერთი ამოცანა— ქართული ენის წმინდად და ფაქიზად დაცვა. საოცარია, რომ თითქოს არავის ეპარება ეჭვი და ყველამ კარგად უწყით, რომ ქართული ენა მარტო მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა კავშირის ენა როდია, არამედ ჩვენი ეროვნული, სახალხო და სახელმწიფო ენაა. აბა დავუკვირდეთ, რა ხშირად ირღვევა და მახინჯდება იგი... მე პროვინციალიზმებს არ ვგულისხმობ, რაც აგრეთვე, დროა, სულ მოვიშოროთ. ჩვენ უძველესი, მდიდარი, მეტყველი და კეთილხმოვანი ენა გვაქვს, ლიტერატურულად დამუშავებული და დახვეწილი, დინამიური, შინაგანად მხარდი და უნდა მოვუაროთ მას — წიგნებსა და საუბარში, აბრებსა და რეკლამებზე, დაწესებულებებსა და მიმოწერაში, სკოლასა და ოჯახებში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ენის გაჟარგონება, უცხოური სიტყვებით აჭრელება, გალაზღანდარება, ქართული ენისთვის სრულიად საჭოჭმანო ენით გაბილწვა და გონებით აქსუბა.

დედამიწაზე ორიათას ენაზე მეტია. ასეთი მრავალფეროვნება გასაგებია. ყოველი შემოქმედი ეთნიკური ჯგუფი გულისხმობდა და ქმნიდა თავის ენას, ეს იყო ამ ერის გენიალური აქტი. კაცობრიობა მრავალმეტყველია. ქვეყნად მხოლოდ მამლები ყივიან ერთნაირად. ენა ხომ ამა თუ იმ ერის ამეტყველებული ადამიანობა, ისტორია და მიწა-წყალია...

ჩვენ, ქართველები, ჩვენს ენას დედაენას ვუწოდებთ, რამდენადაც ვიცი, არცერთ სხვა ენას ასეთი თბილი, საალერსო სახელი არ მოუპოვებია. ახლა კი ზოგი სხვა ენის ცოდნის გამოსაჩენად, ზოგი შეუგნებლად ფარცხავს ყველაფერს.

მრავალი ენის ცოდნა დიდებულია, რამდენ ენასაც ფლობ,იმდენი ხელი გაქვს. მაგრამ მშობლიური ენა თუ არ იცი, შეიძლება, ბევრი ხელი გაბია და გული კი არა გქონია. ჩვენი დედაენის აჭრელება ყოფაში გადადის და საშიშ ხასიათს იღებს. ყველას უნდა გვახსოვდეს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, მოსწავლეებს, ხელდებული ქართულის პატრიოტებს, რომ არც ენაა მარტო ენა.

ერთხელ, მოგზაურობისას, ამბროლაურში მცირე მაღაზიაში შევედი — ასანთი დამჭირდა. ახალგაზრდა ქალი დამიხვდა, ვერ გამიგო.

— რა გნებავთ? — განმეორებით შემეკითხა.

— ასანთი-მეთქი, ასანთი! — ნაწყენად ვუპასუხე.

ქალი წავიდა და სანთელი მომიტანა.

— მე ასანთი მინდა და არა სანთელი! — უკვე შევუტიე.

— ვერ გავიგე, რა გნებავთ... — გულახდილად მითხრა.

— სპიჩკა! — შევძახე.

— ეგრე გეთქვათ, თორემ რუსული კი არ ვიცი მე! — გაღიმებით მიპასუხა და ასანთი მომაწოდა.

მეორე შემთხვევამ უფრო დამწყვიტა გული.

„ემირთა ვარამს" ვწერდი. ყადორზე ავედი, კახეთ-დაღესტნის შორის— კავკასიონის გადასავალზე. მეცხვარეს შევხვდი, ბრგე ვაჟკაცს. ტყაპუჭი მოერგო ახალუხზე, სატევარი მუხლისთავს ჩასცელებოდა, დიდ კომბალზე ხელი დაედო და ცხვარს დინჯად მოუძღვებოდა.

— გამარჯობა, ძმაკაცო, მაშ, ცხვარს უკვე მიდენი ბარში? — მივესალმე და კეთილქართულის იმედით მასთან საუბარი გადავწყვიტე.

— გაგიმარჯოს, უკე მივდივართ, ცხვარსა მივდენით, მაშა!

არ მოველოდი.

— რა უკე! რა ქართულია! — ნაწყენად ვუთხარი.

— მაშ როგორა! — გაიკვირვა და გაიღიმა.

— უკვე, კაცო, უკვე! და არა „უკე"!

— ო, ეს თქვენებური იმერული ქართულია!

ახლა კი გული მომივიდა. შევუტიე. ერთიორი მწარე სიტყვა ვკადრე. გულუბრყვილოდ გაიცინა და დამიყვავა:

— ოო, კარგი, კარგი, მინავათი ვარ, რამ გაგაჯავრა!

— ო, შენც შეგარცხვინე და შენი „მინავათიც!" — შევძახე და გავეცალე.

შორიდან უნებურად მოვიხედე. კაცი იდგა და კვერს იქნევდა, ვერც გაიგო, რა მაწყენინა ასეთი.

## მეცნიერის არქივიდან

# ორი გამოსვლა

**1978 წლის 14 აპრილი — ჩვენი უახლოესი ისტორიის ერთ-ერთი ნათელი დღე. დღე, როცა მძლავრმა იმპერიამ უკან დაიხია ქართველი ერის ნების წინაშე. მრავალჯერ გავიხსენეთ ეს დღე და მრავალჯერ გავიხსენებთ კიდევ... მოვინატრებთ იმ ერთობას, შემართებას...**

**ცხადია, ისტორიისათვის ძვირფასი იქნება ყველა იმ ფაქტის დაფიქსირება, რომელიც წინ უძღოდა და ამზადებდა 14 აპრილს — ჩვენი უნივერსიტეტის კათედრებსა თუ აუდიტორიებში, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში თუ სხვაგან.**

**დღეს ვაქვეყნებთ ჩვენი ორი სახელოვანი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორების ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲨᲐᲠᲐᲫᲔᲜᲘᲫᲘᲡᲐ და ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲘᲡ არქივებში მოძიებულ მასალებს.**

**ქალბატონმა თინათინ შარაძენიძემ ეს სიტყვა წარმოთქვა ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთო კრებაზე 1978 წლის 4 აპრილს; ბესარიონ ჯორბენაძემ კი — თსუ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე 1978 წლის 30 მარტს. მოხსენებათა ასლები გაიგზავნა ზემდგომ ორგანოებში...**

**ნუ დავივიწყებთ: 1978 წელია!.. აქ წამოჭრილი საკითხების დასმა თავგანწირვის ტოლფასი გამბედაობა იყო: არავინ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა ყოველივე ეს. 1956 წლის 9 მარტი მეხსიერებაში ცოცხლობდა...**

* * *

რამდენიმე თვის წინ ჩვენ მივიღეთ სსრკ კონსტიტუცია, რომელიც მთელი მოსახლეობის ფართო განხილვის საგანი იყო.

ამჟამად არაჩვეულებრივი ინტერესით ვეცნობით და განვიხილავთ საქართველოს სსრ კონსტიტუციას. ბუნებრივია, რომ ამ კონსტიტუციაშიც წარმოდგენილია ის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი, რაც სსრკ კონსტიტუციაში იყო და რაც ჩვენ ერთხმად მოვიწონეთ, ამიტომ გასაგებია ისიც, რომ ჩვენი ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკათა სპეციფიკას ქმნის.

ამ საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ენის საკითხი. ენის საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმიტომ, რომ ის არის ნაწილი უფრო ფართო პრობლემისა — ეროვნული პრობლემისა. ამით აიხსნება ამ საკითხისადმი ასეთი დიდი ინტერესი ჩვენს საზოგადოებაში.

წინა ორ კონსტიტუციაში ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად იყო მიჩნეული, ახალ კონსტიტუციაში ასე არ არის. ამის ნაცვლად კონსტიტუციის 75-ე მუხლში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის".

ეს მუხლი გაუგებრობებს იწვევს. პირველ ყოვლისა, ჩნდება კითხვა, რატომ აღარ ითვლება ქართული ენა საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად? ხომ არ შეიცვალა რაიმე ჩვენს ეროვნულ პოლიტიკაში? ასეთი ცვლილებების შესახებ ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

როგორც ცნობილია, ზოგიერთი ამხანაგი გამოთქვამდა სურვილს ერების შერწყმის პროცესის ხელოვნურად დაჩქარების შესახებ, მაგრამ ეს თვალსაზრისი ეროვნული პოლიტიკისათვის შეუფერებელია. პირიქით, კონსტიტუციის სხვა მუხლებში ერების განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელისშეწყობაზეა ლაპარაკი, მაგრამ ენა ხომ ერის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. თუ ჩვენ ვწერთ, რომ საქართველოს სსრ სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოა, მას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებაც კი აქვს, რატომ გავურბივართ იმის აღნიშვნას, რომ ამ სუვერენულ სახელმწიფოს თავისი ენაც აქვს. განა იმან, რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციებში ქართული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად იყო აღიარებული, გამოიწვია რაიმე გაუგებრობა?

თუ მოუხერხებლად ითვლება ტერმინი „სახელმწიფო" ენა, მაშინ ის უნდა შეიცვალოს სხვა ტერმინით, რომელიც იქნება ამ შინაარსის გამომხატველი, რაც ჩვენს სინამდვილეში რესპუბლიკის ენაში იგულისხმება. ასეთი შეიძლება იყოს „ეროვნული ენა".

ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლში სახელმწიფო და ენა გათიშული ჩანს ერთმანეთისაგან. არ არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფო ზრუნავს ენის განვითარებაზე. სახელმწიფო ყველა იმ მუხლის განხორციელებაზე ზრუნავს, რაც კონსტიტუციაშია შეტანილი (მაგ. რელიგიური რწმენის თავისუფლებაზე). ენას კი განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებაში. ენა იარაღია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებისა, იქნება ეს კულტურა, მეცნიერება, ეკონომიკა თუ ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობა. ენის ეს განსაკუთრებული როლი უნდა



აისახოს კონსტიტუციაშიც. ერების თავისუფლებამ, ერების ურთიერთმეგობრობამ, ეროვნულმა პოლიტიკამ, რაც ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტს წარმოადგენდა იმთავითვე, გამოხატულება პოვა იმაშიც, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას თავისი ენა აქვს გამოყენებული. ეს კი კონსტიტუციაში არ ჩანს. აქ შეინიშნება ცდა იმისა, რომ რესპუბლიკაში ხმარებული ყველა ენა ერთ სიბრტყეზე იქნეს დაყენებული, რაც არ შეეფერება არსებულ ვითარებას.

სრულიად უდავოა, რომ არ უნდა იყოს შეზღუდვები რომელიმე ენის ხმარების მიმართ. მე მწამს, რომ ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკას საყვედური არ ეთქმის. ეს პატარა რესპუბლიკა ყველაზე მრავალეროვან რესპუბლიკად არის აღიარებული მთელ საბჭოთა კავშირში. რით აიხსნება ეს? იმით, რომ ამ რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას, ქართველებს, არ სჩვევიათ სხვა ერებისადმი მტრული დამოკიდებულება, სხვა ერის წარმომადგენელთა ჩაგვრა. ამაზე ლაპარაკი ზედმეტადაც კი მეჩვენება. საქმე ეხება რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის ენის სტატუსს. ქართული ენის ფუნქციები საქართველოს სსრ-ში უფრო მრავალმხრივია და ფართო, ვიდრე სხვა ენებისა, რუსული ენის გამოკლებით.

მართალიაც ქართული ენა გამოიყენება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, მასზე ხდება სამართალწარმოება. არავის მოსვლია აზრად ეგევე ფუნქციები დაეკისრებინოს საქართველოს ტერიტორიაზე ხმარებულ ყველა ენას, ვთქვათ, სომხურს, აზერბაიჯანულს, ქურთულს, გერმანულს. თავისი ფუნქციები აქვს რუსულ ენას იმიტომ, რომ ის არის საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება, ეროვნებათაშორისი ენა.

ეს ვითარება ასახულია მთელ რიგ მოვლენებში: საბჭოთა კავშირის გერბზე „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!" აწერია 15 მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე, ასევე საბჭოთა ფულზედაც წარწერა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზეა, სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებანი, რომლებშიაც საბჭოთა კავშირის კანონები ქვეყნდება, ითარგმნება 15 რესპუბლიკის ენაზე და ა.შ.

მაშასადამე, გამოყენების სფეროსა და შესაბამისად ფუნქციების თვალსაზრისით ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩვენ გვაქვს:

1) რუსული ენა, გარდა იმისა, რომ რსფსრ სახელმწიფო ენაა, წარმოადგენს ყველა საბ-

დასასრული მე-4 გვ.

## მეცნიერის არქივიდან

# ორი გამოსვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე გვერდიდან

ჰოთა ერისა და ეროვნების ურთიერთობის ენას.

2) რესპუბლიკების სახელმწიფო ენები, რომლებიც იხმარება ამ რესპუბლიკების ფარგლებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, სამართალწარმოებისას, ამავე ენა იქნება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დროს ამ რესპუბლიკის ეროვნული ენა და ა.შ.

3) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ენები, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე გამოიყენებიან რესპუბლიკის ეროვნული ენის გვერდით.

4) დანარჩენი ენები.

შესაბამისად ჩემი წინადადებაა, კონსტიტუციაში მკაფიოდ გამოიყოს სხვადასხვა ფუნქციის მქონე ენათა ხვედრითი წონა — კერძოდ:

1) აღნიშნულ იქნეს, რომ ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო, ეროვნული ენაა და განიმარტოს, რას ნიშნავს ეს.

2) განისაზღვროს რუსული ენის, როგორც სსრკ ხალხთა ურთიერთობის ენის სტატუსი და მისი მიმართება ეროვნულ ენასთან.

3) განისაზღვროს ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენის სტატუსი და მისი მიმართება რესპუბლიკის ენასთან.

4) ქართული ენის შესახებ მუხლი შევიდეს კონსტიტუციის X ნაწილში, სადაც ლაპარაკია საქართველოს სსრ გერბის, ალმის, ჰიმნისა და დედაქალაქის შესახებ.

**თინათინ შარაძენიძე**

* * *

კონსტიტუცია ხალხის ცხოვრების, შემოქმედების საფუძველია. ამიტომაც, ბუნებრივია, ის დიდი ყურადღება, რომელსაც საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი იპყრობს. ბუნებრივია ის სურვილიც, რომ ჩვენი ახალი კონსტიტუციის ყოველი მუხლი იყოს მკაფიოდ და ზუსტად ჩამოყალიბებული.

ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციის ძირითადი ნაწილი წავსებით მისაღები და გასაზიარებელია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ზოგიერთი მუხლი მაინც დაზუსტებასა და დახვეწას საჭიროებს.

I

კონსტიტუციის პროექტის 68-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოა. 69-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ ინარჩუნებს სსრკ-დან თავისუფალი გასვლის უფლებას.

ხომ არ ეწინააღმდეგება თანასწორუფლებიანობის სავსებით მართებული დებულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ამ მუხლებს კონსტიტუციის პროექტის 31; 611 77; 78; 152; 158 მუხლები, რომელთა თანახმად, სსრ კავშირში დაწესებულია ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა და ამდენად, სტატუსი: „საქართველოს სსრ მოქალაქე" არ არსებობს, საქართველოს სსრ არა ჰყავს საკარისო შენაერთები (რომლებიც დაშვებული იყო წინა კონსტიტუციაში), საქართველოს სსრ ეკონომიკა და ბიუჯეტი მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია ერთიან საკავშირო ეკონომიკასა და ბიუჯეტზე.

ვფიქრობთ, ჩვენს იურისტებსა და ეკონომისტებს ევალებათ ამ მუხლების შესაბამისი დაზუსტება და დახვეწა.

II

კონსტიტუციას მოეთხოვება ზუსტი ფორმულირება. მან უნდა კონკრეტულად დაასახელოს და განმარტოს ყოველი ფაქტისა თუ მოვლენის სტატუსი.

ვფიქრობთ, საჭიროა კონსტიტუციაში ზუსტად განიმარტოს საქართველოს სსრ ტერიტორია, მისი ფართობი, საზღვრები.

ამავე თვალსაზრისით, დაზუსტებას საჭიროებენ ის მუხლებიც, რომლებშიც ენის თაობაზეა საუბარი.

სასურველი იყო, ენა დასახელებული ყოფილიყო იქ, სადაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ გერბი, ალამი, ჰიმნი და დედაქალაქი (როგორც ეს აქამდე მოქმედ კონსტიტუციაში გვქონდა). თუ ეს მიზანშეუწონლად მიიჩნევა, მაშინ უთუოდ უნდა დაიხვეწოს და ზოგიერთ შემთხვევაში შესწორდეს ის მუხლები, სადაც ენის შესახებაა საუბარი. ეს არის 75-ე და 110-ე მუხლები.

წინადადება შემოგვაქვს, 75-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ასე:

„საქართველოს საბჭოთა



სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთათვის უზრუნველყოფილია უფლება დედაენის გამოყენებისა.

კანონები და, აგრეთვე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი, აგრეთვე, სხვა აქტები ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენებზე.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ყველა ტიპის ორგანოსა და დაწესებულებაში ოფიციალური ენა არის ქართული ენა ან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ენა.

საკავშირო დაქვემდებარების ორგანოებსა და დაწესებულებებში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ოფიციალური ენებია ქართული და რუსული ენები".

III

მუხლი 110-ე წარმოდგენილი იქნეს ასე:

„საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით".

IV

182-ე მუხლს დაემატოს: ..."საქართველოს სსრ ჰიმნი სრულდება ქართულ ენაზე".

**ბესარიონ ჯორბენაძე**

## უკვდავება ღვაწლისა

1876 წ. გაზეთ „დროების" 42-ე ნომერში დაიბეჭდა სერგეი მესხის წერილი ქუთაისის თავად-აზნაურთა კრების შესახებ. აი, ერთი ნაწყვეტი ამ წერილიდან: „ერთი გადახედეთ ამ საზოგადოებისა სასიამოვნოა! თვალს აამებს და გულს ახარებს ამ მხნე შეხედულების ლამაზულების დანახვა, რომელთა შორის ვჰხვდი ძმა ახვლედიანებს— ერთნაირად ჩაცმულები და დაიარაღებულები და მშვენივრად მოყვანილი ვაჟკაცები— საყვარლად ყურადღებას იქცევდნენ... ისინი ლომებივით იყურებოდნენ!" აქ ლაპარაკია ბატონ გიორგის მამის სარდიონისა და მისი ძმების — თევდორაზის, მელიტონის, სიმონის, დიმიტრისა და ლომერ ახვლედიანების შესახებ, რომელნიც გამოირჩეოდნენ შესანიშნავი გარეგნობითა და სიდარბაისლით. საერთოდ, ახვლედიანების ოჯახი განთქმული ყოფილა ლეჩხუმში კეთილშობილებით, სამშობლოს დიდი სიყვარულით, რაინდული ტრადიციებითა და განათლებით. სარდიონ ახვლედიანი ოფიცერი იყო. თურქეთთან ომში თავი გამოიჩინა როგორც საზრიან და მამაც მეთაურს, რისთვისაც ორდენებითა და მედლებით დაუჯილდოებიათ.

დედა ბატონი გიორგისა — ეკატერინე ასათიანი — ჩინებული გარეგნობის, ტკბილმოუბარი, სათნო და ფრიად განათლებული ქალი იყო. იგი იყო შვილი ოქროპირ ასათიანისა, რომელიც დავით დადიანის კარზე სამეგრელოს სამთავროს უზენაესი სასამართლოს მდივნად მუშაობდა და საკმაოდ სახელმოხვეჭილი პიროვნება ყოფილა.

წინაპრების შესახებ ეს ცნობები იმიტომ მოვაწოდეთ, რომ, ვინც იცნობდა ბატონ გიორგის, მის რაინდულ თავდადებას მეცნიერებისათვის, კაცთმოყვარეობას, მომავალ თაობაზე დიდ ზრუნვას, კეთილშობილებას და საერთოდ მის დიდ ბუნებას, გასაგები გახდება, რომ ეს დიდი ჰუმანური თვისებები მისთვის შემთხვევითი არ ყოფილა.

გიორგი ახვლედიანი დაიბადა სოფ. დერჩში, ლეჩხუმში 1887 წლის 13 აპრილს. წერა-კითხვა ისწავლა ოჯახში დედის ხელმძღვანელობით. 7 წლისა შეიყვანეს ცაგერის სამრევლო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში: აქ მას ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ცნობილი მწერალი და პედაგოგი სილოვან ხუნდაძე. ოთხწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1906 წ. მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალური მუშაობისათვის დააპატიმრეს და არხანგელსკში გადასახლება მიუსაჯეს. მაგრამ მამამ მოახერხა დაეხსნა ამ სასჯელისაგან. 1908 წ. დაამთავრა თბილისის გიმნაზია, მაგრამ რევოლუციური საქმიანობისათვის კეთილსაიმედობის მოწმობა არ მისცეს, რის გამო ვერ შესძლო მაშინვე განეგრძო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1910 წ. გახდა იგი ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. აქ მას ასწავლიდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ პროფესორები ი. ენძელინი, ს. კულბაკინი, ნ. დერნოვო და სხვ. მათი ხელმძღვანელობით შეისწავლა სანსკრიტი, ავესტა, ძვ. სპარსული, ძვ. გერმანული, სლავური და სხვა ენები. გ. ახვლედიანს 1912 წ. ნოემბერში ტოლსტოის გარდაცვალების 2 წლის თავზე მოუწყვია სტუდენტთა გამოსვლა, რისთვისაც დაუპატიმრებიათ. ციხეში ყოფნისას დაწერა საკურსო ნაშრომი „სანსკრიტის [illegible]", [illegible] და სლავური ენების ნარნარა და ცხვირისმიერი თანხმოვნების ისტორიის ნარკვევი", რისთვისაც ავტორს ოქროს მედალი მიანიჭეს, ხოლო პროფ. ი. ენძელინმა „ხარკოვის უნივერსიტეტის მოამბეში" 1914 წ. აღტაცებული რეცენზია უძღვნა.

# გიორგი ახვლედიანი



**13 აპრილი აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადების დღეა. შესრულდა 109 წელი დიდი მეცნიერის დაბადებიდან. ვაქვეყნებთ მისი ერთ-ერთი მოწაფის, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგის, აწ განსვენებული ბივი ნახუცრიშვილის მოხსენებას, რომელიც წაკითხული იყო უცხო ენათა ინსტიტუტში გიორგი ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე 1977 წლის 13 აპრილს.**

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გიორგი ახვლედიანი იწყებს მუშაობას ქუთაისში ქართული გიმნაზიის მასწავლებლად, მაგრამ არ გასულა ერთი წელიც, რომ პროფ. ი. ენძელინმა მოიწვია იგი და 1915 წელს დატოვეს ხარკოვის უნივერსიტეტის შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერების კათედრაზე „საპროფესოროდ მოსამზადებლად". აქედან იგი მიავლინეს პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც უსმენდა დიდ მეცნიერებს: აკად. ნ. მარს (ქართული ფილოლოგია), აკად. შჩერბატსკოის (ინდური ფილოლოგია), აკად. კ. ზალემანს (ირანული ფილოლოგია), აკად. ლ. შჩერბას (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა) და სხვ. ამ უბრალო ჩამოთვლიდან კარგად ჩანს, თუ რა ფართო იყო ახალგაზრდა გიორგი ახვლედიანის მეცნიერული ინტერესები. გიორგი ახვლედიანის როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს აკადემიკოსებმა ი. ენძელინმა და ლ. შჩერბამ, დიდმა ინდოევროპეისტმა და ასევე დიდმა ფონეტიკოსმა.

როდესაც დიდმა ივანემ თბილისში უნივერსიტეტის დასაარსებლად საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბა (პ. მელიქიშვილი, ი. ყიფშიძე, ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე), მას შეუერთდა ხარკოვიდან დაბრუნებული გიორგი ახვლედიანი და შევიდა პირველ პროფესორთა კოლეგიაში. ახალგაზრდა უნივერსიტეტისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფუნდამენტალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნას. ამ დიდ საქმეს სათავეში ჩაუდგა გიორგი ახვლედიანი და პირველ დირექტორადაც იგი დანიშნეს (შემდეგ იგი აკაკი შანიძემ შეცვალა). გიორგი ახვლედიანი იყო ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის დამაარსებელი და უცვლელი გამგე სიცოცხლის ბოლო დღემდე. გიორგი ახვლედიანი იყო ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. 1923 წ. გიორგი ახვლედიანის ინიციატივით დაარსდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება", რომლის პირველ თავმჯდომარედ იგი აირჩიეს. საქართველოში მრავალი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ინიციატორი გიორგი ახვლედიანი იყო (მაგ. პუშკინის სახ. პედინსტიტუტი, მუშაობდა მის დირექტორადაც; წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტი, მუშაობდა სასწ. ნაწილის გამგედ; ი. ჭავჭა-

დასასრული მე-8 გვ.

# ადიდებს სული ჩემი უფალსა

**მე-20 საუკუნემდე საქართველოში არ იყო რელიგიური სექტები. ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდა სხვადასხვა სექტა. ზოგი მათგანი უარყოფს პირჯვრის გადაწერას, მარხვას, სანთლების დანთებას, ხატებთან ლოცვას...**

**ჩვენი მცირედმორწმუნეობის გამო ბევრ რამეს მექანიკურად ვასრულებთ, ისე, რომ არ გვესმის მათი მნიშვნელობა. ჩვენ გვინდა, უკეთესად ვერკვეოდეთ ამ საკითხებში.**

**ამჯერად მარხვის შესახებ გვესაუბრება ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი მეუფე დანიელი.**

# მარხვა

მარხვა ლოცვასთან ერთად არის ადამიანის სულიერი ამაღლებისა და ღმერთთან დაახლოების უმთავრესი საშუალება. უფალი ბრძანებს: „ესე ნათესავი* ვერ შესაძლებელ არს განსულად, გარნა ლოცვითა და მარხვითა“. (მარკ. 9.29.).

ქრისტიანული ცხოვრების მიზანი, ·პიროვნების სულიერი განწმენდა, ორი ძალის— ღვთაებრივი და ადამიანური ძალის შეერთებით მიიღწევა. ღვთაებრივი ძალა მოქმედებას იწყებს ჩვენს სულიერ სამყაროზე, როდესაც ჩვენ აღვავლენთ უფლისადმი ლოცვებს და ვმონაწილეობთ საეკლესიო საიდუმლოებებში. „ითხოვდით, და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით, და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქვენ“. (მათე 7.7.) — გვასწავლის მაცხოვარი.

ადამიანური ძალის გამოვლინება ხდება ცოდვილ მიდრეკილებებთან ბრძოლაში, ანუ კეთილი ნების ყოფაში. აიძულო საკუთარი თავი აკეთო მხოლოდ სიკეთე და უარი თქვა მდაბალ ვნებებზე ძნელი საქმეა და იგი ყოველი ადამიანისაგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. „სასუფეველი ცათა იიძულების, და რომელნი აიძულებდენ მათ, მიიტაცონ იგი“. (მათე 11.12.) ცხონება ღვთის მადლით გვენიჭება, მაგრამ ერთი პირობით, თუ ჩვენ სათნოების მოპოვებისათვის გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენს ძალებშია. ლოცვა გარდამოგვივლენს ზეციურ მადლს, მაგრამ იმისათვის, რომ ამ უდიდესმა სიწმიდემ დაივანოს ჩვენს სულში, მას უნდა დავახვედროთ განწმენდილი გული. მარხვის არსი გულის განწმენდაშია. ქრისტიანი არ შეიძლება გულგრილი იყოს თავისი ცოდვებისადმი და დღენიადაგ არ ზრუნავდეს მათი დაძლევისათვის. ამ თვალსაზრისით, მარხვა ანუ დაცვა მცნებათა, ისევე როგორც ლოცვა, მარადის უნდა აღესრულებოდეს. მარხვისა და ლოცვისათვის დაწესებული საგანგებო ჟამი სულიერი შრომის გაძლიერებას გულისხმობს. კერძო გაგებით, ლოცვა და მარხვა ღვთისმსახურების საგანგებოდ შედგენილ წლიურ ციკლს წარმოადგენს. ამ ციკლში ჩართვა და მონაწილეობა ქრისტიანული ცხოვრების მისტიურ მხარეს გვაზიარებს. მის გარეშე რელიგიური სამყარო მხოლოდ კულტურის ფენომენად რჩება. ღვთისმსახურებაში მონაწილეობა არ არის მხოლოდ სასულიერო პირთა საქმე. ეს სულიერი ღვაწლი მრევლმაც უნდა იტვირთოს, მაგრამ, რასაკვირველია, იმაზე გაცილებით ნაკლები, რაც ეკლესიის მსახურებს მოეთხოვებათ.

ღვთისმსახურების პროცესში არის მცირე და ხანგრძლივი, შემსუბუქებული და მძიმე პერიოდები. მაგალითად, სადაგი დღის ლოცვებს მრავალგზის აღემატება შაბათ-კვირისა და სადღესასწაულო დღეების საკითხავი ტექსტები. მარხვებიც ასევე შეიძლება იყოს ერთდღიანი ან მრავალდღიანი, ნაკლებადშეზღუდული ან მკაცრი.

რაც უფრო დიდია დღესასწაული, მით უფრო ინტენსიურია ღვთისმსახურება. იგი გვეხმარება, რომ ჩვენი სული მომზადდეს ზეიმის შესაბამისი ამაღლებული მდგომარეობისათვის.

აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ამ უდიდესი მოვლენის გასაცნობიერებლად და მისგან მომდინარე უმდიდრესი მადლის მისაღებად, ეკლესიის მიერ დაწესებულია ყველაზე დიდი და მკაცრი მარხვა, რომელსაც თან სდევს ასევე მაქსიმალურად ინტენსიური და დატვირთული ლოცვები.

დიდი მარხვა ეს არის ჟამი განსაკუთრებული სულიერი განწმენდისა და ამაღლებისა. იგი გვეხმარება, რომ მაცხოვრის აღდგომა გადაიქცეს ჩვენი სულების აღდგომად; რომ ამ ბედნიერ დღეს ყოველმა ადამიანმა განიცადოს სიხარული სიკვდილზე გამარჯვებული სიცოცხლისა; რომ ყოველმა ჩვენგანმა იხილოს გზით მარადიული უკვდავი ცხოვრებისა და ცათა სასუფევლის ნეტარებისა.

ღმერთმა ინებოს, რომ ამ წმინდა საქმეში ჩაერთოს და გაერთიანდეს სრულიად საქართველო, რათა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ყველამ ერთად განვიცადოთ ჩვენი სულიერი განახლება და სიტკბოება ღვთის მოუწვდომელი სიყვარულისა.

* ესე ნათესავი— იგულისხმება ბოროტი ძალა.

## ქრისტიანული ბიბლიოთეკა

## ხარება

ხარება ყოვლადწმიდისა მარიამისა არის ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული. „ვითარცა თქმული არს ერთსა საკვირველსა საგალობელსა შინა, აწინდელი დღესასწაული არის დასაბამი, თავი ჩვენისა ცხონებისა და გამოჩინება საუკუნითგან დამალულისა საიდუმლოისა“ (გაბრიელ ეპისკოპოსი).

მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა ქალწულ მარიამს და ასე მიესალმა: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენთანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. ამ მისალმების შემდეგ მთავარანგელოზმა აუწყა ქალწულს ნება ღვთისა: „აჰა, ესერა შენ მუცლად-იღო და შვე ძე და უწოდე სახელი მისი იესუ“.

სასიხარულო სიტყვებმა დააფიქრა მარიამი და იკითხა: „ვითარმედ იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზმა ქალწულს აუხსნა, რომ ის შობდა ძეს ღვთისას და შობა მისი იქნებოდა სულიწმიდისაგან.

მაშინ განიხარა მარიამმა, დაემორჩილა ღვთის ნებას და მიუგო მთავარანგელოზს: „აჰა, მხევალი უფლისაი; მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“.

ამ საკვირველი და სანატრელი ამბის ხარების შემდეგ მთავარანგელოზი გაბრიელი წავიდა მისგან.

მადლიერების ნიშნად ბრძანა ქალწულმა მარიამმა: „ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა“...

ხარება, ათორმეტთაგან ერთ-ერთი უძრავი დღესასწაულია და 25 მარტს (7 აპრილს ახალი სტილით) ზეიმობენ მას.

## ბზობა

ბზობა, შესვლა იესო ქრისტესი იერუსალიმს, არის ათორმეტთაგან ერთ-ერთი, მოძრავი დღესასწაული, იზეიმება აღდგომის წინა კვირას.

მაცხოვარი პასექის წინა კვირას იერუსალიმს გაემგზავრა. შესვლა უფლისა იესო ქრისტესი იერუსალიმს იყო ერთობ დიდებული და სადღესასწაულო.

მთელი ქალაქის მცხოვრებნი მიეგებნენ ქრისტეს, როგორც მოეგებებიან დიდებულ მეფეს. ზოგი სამოსელს უფენდა, ზოგი ხის ტოტებით ხვდებოდა, თან ღაღადებდა: „ოსანა ძესა დავითისსა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა, რომე-

ეკლესიაში დიდი ზეიმით აღინიშნება უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულები, რომლებსაც მიეკუთვნება: ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ათორმეტი დღესასწაული. არის აგრეთვე დიდი და ჩვეულებრივი საეკლესიო დღესასწაულები.

ჩვენ საეკლესიო დღესასწაულებსა და სხვა მნიშვნელოვან დღეებზე ვისაუბრებთ ამ რუბრიკაში.

ლი ხარ მაღალთა შინა!"

ყველა მხიარულობდა, მხოლოდ მაცხოვარი არ იღებდა მონაწილეობას ამ მხიარულებაში. იგი ტიროდა, რადგანაც იცოდა, რომ იგივე ხალხი, რომელიც ასე აღტაცებით ეგებებოდა, სამი დღის შემდეგ ყვირილს დაიწყებდა: „ჯვარს აცუ ეგე!"

წლევანდელ წელს, ორი დიდი დღესასწაული, ხარება და ბზობა, ემთხვევა ერთმანეთს და ეზეიმობა 25 მარტს (7 აპრილს ახალი სტილით). ამიტომ წლევანდელი დღესასწაული ორმაგად საზეიმო, ორმაგად სასიხარულოა.

## ვნების შვიდეული

დიდი მარხვა, უდაბნოში მაცხოვრის 40 დღიანი მარხვის მსგავსად, 40 დღე გრძელდება. შემდეგ კი იწყება ვნების შვიდეული, რომელიც განსაკუთრებული სიმკაცრით ხასიათდება, გაძლიერებულია მარხვაც და ლოცვაც. ვნების შვიდეულში მძიმე, უზეთო მარხვას ინახავენ. ამ კვირის ყველა დღეს დიდი ეწოდება: დიდი ორშაბათი, დიდი სამშაბათი, დიდი ოთხშაბათი და ა.შ.

## დიდი ოთხშაბათი

სწორედ ამ დღეს იუდა ისკარიოტელმა გაყიდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მღვდელმთავრებს, რომლებსაც პასექის შემდეგ ჰქონდათ გადაწყვეტილი მისი შეპყრობა, აღუთქვა, რომ მოძღვრის შესაპყრობად მარჯვე შემთხვევას მოუძებნიდა, საფასურად კი ოცდაათი ვერცხლის დასჯერდა.

ამ სამწუხარო დღის მოსაგონებლად, როდესაც საკუთარმა მოწაფემ გაყიდა მხსნელად მოვლენილი ძე ღვთისა, ყოველ ოთხშაბათს ვინახავთ მარხვას.

## დიდი ხუთშაბათი

ხუთშაბათს მოციქულებმა პასექის სადღესასწაულოდ მაცხოვრის ბრძანებისამებრ მოამზადეს ოთახი. სამხრობას მობრძანდა მოძღვარი. თორმეტივე მოწაფე შემოიკრიბა. თავისი ვნებისა და ჯვარცმის წინ უკანასკნელად დამოძღვრა მოციქულები, ყველას დაბანა და ტილოთი გაუმშრალა ფეხი: „უკეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღუარმან, თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერხთა" — აუწყა იესომ.

იესო ქრისტემ აკურთხა საპასექო სუფრა: დატეხა პური, ჩამოურიგა მოწაფეებს და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ; ეს არის ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი მისატევებლად ცოდვათა". ასევე აიღო ჯამით ღვინო, მიაწოდა მათ და უთხრა: „სვით ამისგან ყოველთა, ეს არის სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაი, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული, მისატევებლად ცოდვათა".

ამ სახით ქრისტემ დააწესა წმიდა ზიარება. ამ ვახშამს, რომელზეც პირველად აღესრულა წმიდა ზიარება საიდუმლო სერობა (ანუ სამხრობა, ვახშმობა) ეწოდება.

დიდ ხუთშაბათს ძე-ღმერთმა კვლავ მოუთხრო მოწაფეებს ახალი მოძღვრების არსი: „იყვარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ... ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ".

დიდ ხუთშაბათს „დაიწყო მაცხოვარმან საუკუნო ახალი აღთქმისა, დღეს მისცა მან მოწაფეთა თვისთა უკანასკნელი თვისი დიდი მცნებანი და სწავლანი, დღეს დააწესა მან უმთავრესი ქრისტიანული საიდუმლო ზიარებისა, დღეს მისცა მათ უმაღლესი სახე და მაგალითი ქრისტიანულისა სიმდაბლისა და სიყვარულისა, დაბანა რა ფერხნი მათნი" (გაბრიელ ეპისკოპოსი).

## დიდი პარასკევი

გოლგოთის მთაზე ამ დღეს ჯვარს აცვეს უფალი იესო ქრისტე.

„ყოველნი წიგნნი საღმრთოისა წერილისანი რომ დაიკარგონ, იტყვის დიდი წმიდა მამა ბასილი, მაშინ ერთი მხოლოდ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ცხოვრება, ვნება და სიკვდილი საკმაოდ გვასწავლის ჩვენ, რაი არს ქრისტიანობა...

ჯვარი არის სასწავლებელი, იტყვის ნეტარი ავგუსტინე, სადაც მასწავლებელი უსიტყვოდ გვასწავლის ჩვენ ძლიერად, რომელსა ზედა დამოკიდებულია" (გაბრიელ ეპისკოპოსი).

გოლგოთის ჯვარი გვასწავლის მოთმინებას, სიყვარულს, სიმდაბლეს, პატიებას.

მაცხოვრის ვნების დღეს, მისი დაღვრილი სისხლის გამო, წითელ პარასკევსაც უწოდებენ. ძველად ქრისტიანები ამ დღეს უმკაცრესად მარხულობდნენ, საერთოდ არ ჭამდნენ.

ამ საშინელი დღის მოსაგონებლად, ყველა პარასკევს მარხვას ვინახავთ.

## დიდი შაბათი

შაბათ დილით მღვდელმთავრებმა, პილატეს თანხმობით, დარაჯები მიუჩინეს მაცხოვრის საფლავს. ეშინოდათ, მოციქულებს არ მოეპარათ მოძღვრის გვამი.

ოდეს სხეული საფლავში განისვენებდა, იესო სულით შეუდგა ჯოჯოხეთში. მისი მოსვლით ჯოჯოხეთი შეძრწუნდა და დაირღვა. ქრისტემ გამოიყვანა იქიდან მართალნი სარწმუნოებით, რომლებიც მოელოდნენ მაცხოვრის მოსვლას.

დიდ შაბათს შეიმუსრა ბჭენი იგი ჯოჯოხეთისანი, ამიტომაც ლაღადებდნენ მაშინ ცოცხალნი მკვდრნი: ცხოვრების მომცემელი ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა.

## აღდგომა

ქრისტიანული სამყაროსათვის უდიდესი და თავისი განუზომელი მნიშვნელობით ცალკე მდგომი დღესასწაულია ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. აღდგომა მოძრავი დღესასწაულია და დგება არა უადრეს 22 მარტისა და არა უგვიანეს 25 აპრილისა (ძველი სტილით).

[illegible] გუნა.

დედათაგრიან მაცხოვრის საფლავთან მისულ მენელსაცხებლე დედებს ანგელოზმა აცნობა: „ნუ გეშინინ თქუენ. ვიცი, რამეთუ იესუ ნაზარეველსა ჯუარ-ცუმულსა ეძიებთ, არა არს აქა, რამეთუ აღდგა".

აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ეცხადებოდა, ამხნევებდა და სასარწმუნოებო ჭეშმარიტებებს განუმარტავდა.

„ქრისტე აღდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი" — იგალობება ეკლესიაში აღდგომიდან ამაღლების დღესასწაულამდე.

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული ამაღლებამდე, 40 დღე გრძელდება. ამ პერიოდში იცვლება ქრისტიანთა მისალმების წესიც. მორწმუნენი ერთმანეთს ამ სიტყვებით ესალმებიან: „ქრისტე აღდგა!" „ჭეშმარიტად აღდგა!"

## ბრწყინვალე შვიდეული

აღდგომის შემდგომ კვირას ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება, ხოლო დღეებს — ბრწყინვალე ორშაბათი, ბრწყინვალე სამშაბათი, ბრწყინვალე ოთხშაბათი და ასე შემდეგ. ეს კვირა მთლიანად საზეიმოა. წირვა-ლოცვა მხოლოდ ამ კვირისთვის განკუთვნილი წესითა და რიგით ტარდება. არის მსგავსი (ე.ი. ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია).

ამ დღეებში გავდივართ სასაფლაოზე, რათა მიცვალებულებს ვახაროთ ქრისტეს აღდგომა, რადგან უფალი აღდგა როგორც ჩვენთვის, ასევე მიცვალებულთათვის.

ბრწყინვალე შვიდეული მთავრდება კვირაცხოვლობით ანუ ახალი კვირით. ეს დღე განახლებაა აღდგომის დღესასწაულისა. ამ დღიდან მოყოლებული ყოველი კვირა დღე აღდგომის დღესასწაულია და ეკლესიაში ტარდება საზეიმო წირვა.

კვირაცხოვლობას უწოდებენ აგრეთვე თომას კვირას.

რუბრიკას უძღვება
ნინო კაპანტალიანი

## უკვდავება ღვაწლისა

# გიორგი ახვლედიანი

მეხუთე გვერდიდან

ვადის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი, სამეცნიერო საბჭოს წევრი და მთავარი კონსულტანტი; სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტი; ჩრდილოეთ ოსეთის პედინსტიტუტი და სხვა).

1932 წელს გ. ახვლედიანი აირჩიეს ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრად, ხოლო 1940 წ. — ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრად. 1939 წ. გ. ახვლედიანი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1941 წ. დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ. ახვლედიანი მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრია. სხვადასხვა დროს იყო აკადემიკოს-მდივანი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი და სხვა.

გ. ახვლედიანი დაჯილდოებული იყო მთავრობის მრავალი ორდენითა და მედლით.

ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი ფონეტიკა, ექსპერიმენტული ფონეტიკა, ქართული ენის ფონეტიკა და ფონოლოგია, ქართული და ქართველური ენები, ინდოევროპეისტიკა, ინდოლოგია, ირანისტიკა ზოგადად და ოსური ენა კონკრეტულად, რუსული და საერთოდ სლავური ენები, ლოგოპედია, თარგმანები, აი, არასრული სია იმ პრობლემებისა, რაც ბატონი გიორგის მეცნიერული ინტერესების სფეროში შედიოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ბატონი გიორგი ერთ-ერთი დამაარსებელია ჩვენი უნივერსიტეტისა. ახალ უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერების დარგის შექმნა მთლიანად გ. ახვლედიანის სახელთანაა დაკავშირებული. მანვე შეადგინა და 1918-1919 წლებში სამ ნაკვეთად გამოსცა ენათმეცნიერების შესავლის ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. განუზომელია მნიშვნელობა ამ წიგნისა ქართული ენათმეცნიერებისათვის. მასში პირველად ქართულ ენაზე იყო გადმოცემული იმდროინდელი მოწინავე ენათმეცნიერების მიღწევები და მათი კრიტიკული ანალიზი, პირველად იქნა გამოყენებული ქართული ენის ფაქტები ზოგადენათმეცნიერული პრობლემების გასაშუქებლად. როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი" მეთოდოლოგიურად და მეცნიერული დონით ბევრად მაღლა იდგა იმდროინდელ რუსულ ანალოგიურ სახელმძღვანელოებზე. ამ წიგნმა და ბატონი გიორგის ლექციებმა ჩაუყარეს საფუძველი ქართულ ენათმეცნიერულ სკოლას, რომელსაც სიცოცხლის ბოლო დღეებამდე თვითონ უდგა სათავეში და რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

განსაკუთრებულია გ. ახვლედიანის დამსახურება ქართული და ზოგადი ფონეტიკის პრობლემების კვლევის საქმეში. გავიხსენოთ ერთი მაგალითი: ბატონმა გიორგიმ დაადგინა თანხმოვანთა კოარტიკულაციის კანონები, კერძოდ, გადაწყვიტა თანხმოვანთა აქცენტური და დეცენტური კომპლექსების პრობლემა. დადგინდა აქცენტური კომპლექსების სეპარაციის გზები როგორც ქართველურ, ისე ევროპულ ენებში. გაარკვია ფრანგული ენის ფონეტიკის მანამდე აუხსნელი ზოგიერთი საკითხი, გაარკვია ქართულ თანხმოვანთა აქცენტურ კომპლექსებში ხშულის ნართის მიზეზები და სხვა. გ. ახვლედიანის ხანგრძლივი და უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა შეჯამებულია მის კაპიტალურ ნაშრომში „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები", რომელიც 1949 წ. გამოვიდა. ამ წიგნმა ფართო აღიარება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ბატონი გიორგის უსაყვარლესი მოწაფის, აწ განსვენებული პროფესორის გიგი მაჭავარიანის სამართლიანი თქმით: „ამ წიგნმა ისეთივე როლი შეასრულა ქართული ფონოლოგიური აზროვნების განვითარებაში, როგორც ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებმა" ჩვენი გრამატიკული აზროვნების განვითარებაში".

დიდი დამსახურება მიუძღვის გ. ახვლედიანს ქართული ტერმინოლოგიის შექმნისა და ლექსიკოგრაფიის დარგში. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა და მისივე რედაქციით გამოიცა სხვადასხვა დარგის (ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, სოფლის მეურნეობის, ფიზიკა-მათემატიკის და სხვ.) მეცნიერული ტერმინოლოგია. უცხო სიტყვათა ლექსიკონები ჩვენ ადრეც გვქონდა, მაგრამ მეცნიერულ საფუძვლებზე აგებული ასეთი ლექსიკონი პირველად გ. ახვლედიანმა გამოსცა. ქართული ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენებია მისი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, რომლებიც ვ. თოფურიასა და ს. თორდანიშვილთან ერთად შეადგინა. იგი იყო ქართული ენის 8 ტომიანი განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქციის და სამტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

დიდი ამაგი დასდო გ. ახვლედიანმა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის შესწავლის საქმეს და განსაკუთრებით კი — სალიტერატურო ქართულის ნორმების დადგენას. მისი მოსაზრებების საფუძველზე დაკანონდა მრავალი ნორმა სალიტერატურო ქართული ენისა. იგი, როგორც თავმჯდომარე საქართველოს თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოსი, ბევრს მუშაობდა ქართული სალიტერატურო წარმოთქმის პრობლემებზე.

გ. ახვლედიანი განათლებით ინდოევროპეისტი იყო. იგი საფუძვლიანად ფლობდა და მარჯვედ იყენებდა როგორც ძველი (ბერძნული, ლათინური, ინდური, ირანული, სლავური), ისე ცოცხალი ინდოევროპული ენების (ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა) მონაცემებს თავის კვლევა-ძიებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1920 წ. ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში მის მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნი: „სანსკრიტი — მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგვედიდან ლექსიკონითურთ". ამ წიგნის გამოცემას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ იგი სოლიდური მეცნიერული დაწესებულების ავტორიტეტს უქმნიდა ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს.

წარუშლელი კვალი დატოვა გ. ახვლედიანმა ირანისტიკაში. იგი იკვლევდა ავესტასა და ძვ. სპარსულს, ხოლო შრომებმა ოსური ენის შესახებ მსოფლიო აღიარება მოუპოვეს.

როდესაც ვლაპარაკობთ გ. ახვლედიანის ღვაწლზე ინდურ-ირანული ფილოლოგიის დარგში, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი მთარგმნელობითი მუშაობა. მან თარგმნა ნაწყვეტები ისეთი რთული ტექსტებიდან, როგორიცაა რიგვედა და განსაკუთრებით — გათები. სამწუხაროდ გათების თარგმანი არ არის მთლიანად გამოცემული.

გ. ახვლედიანმა საფუძველი ჩაუყარა და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალ დარგს — ლოგოპედიას. ყველაზე დიდი აღიარება ამ დარგში მისი დამსახურებისა არის განკურნებული ბავშვების მადლიერებით აღსავსე წერილები.

ცალკე უნდა აღინიშნოს გ. ახვლედიანის ზრუნვა ეროვნული მეცნიერული კადრების მომზადებაზე. ეს საქმე მას თავის მთავარ მოვალეობად მიაჩნდა და ძნელად თუ გაუტოლდება ვინმე, რომელსაც სხვადასხვა დარგის ასე ბევრი სპეციალისტი აღეზარდოს. საქართველოს მრავალ სამეცნიერო დაწესებულებაში და საქართველოს გარეთაც, მუშაობენ მისი უშუალო თუ შუალობითი მოწაფეები ზოგად ენათმეცნიერებაში, ფონეტიკაში, ირანისტიკაში, ინდოლოგიაში, რომანისტიკაში, გერმანისტიკაში, ანგლისტიკაში, რუსისტიკასა და ლოგოპედიაში, რომელთაგან ბევრი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერია. მას ბოლომდე შერჩა სიახლის გრძნობა და მუდამ მხარს უჭერდა ახალ წამოწყებას, შემწყნარებლობით ეკიდებოდა ისეთ იდეებსაც, რომლებსაც თვითონ შეიძლება ბოლომდე არც კი იზიარებდა. მას გულწრფელად ახარებდა თავისი მოწაფეების თუნდაც პატარა წარმატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბიტურიენტის ფურცელი

# ქართული ენა



### 6. ქართული ენა, როგორც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე, მდიდარი და განვითარებული სალიტერატურო ენა

ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი სამწერლობო ენაა. როგორც ვიცით, ქართული წერილობითი ძეგლები V საუკუნიდან დასტურდება, თუმცა დღეს არავისთვის არაა საეჭვო, რომ მისი ფესვები გაცილებით უფრო შორეულ წარსულშია სავარაუდებელი.

„ქართული ენა ქართველი ერის დიდი და ხანგრძლივი შემოქმედების პროდუქტია. იგი ისევე ძველია, როგორც თვით ქართველი ხალხი და მისი სახელოვანი ისტორია (ვ. თოფურია). ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ქართული ენა იხვეწებოდა, მდიდრდებოდა, ვითარდებოდა. დიდი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ამ ერს, რომელიც თავის სამწერლობო ენას შესაფერისად არ განავითარებს, არც შეუძლია გონებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს, რადგან ამისთვის აუცილებლად საჭირო იარაღი არ აბადია“. მაშასადამე, ერის ენა და გონებრივი განვითარების შესაძლებლობა უმჭიდროესად ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბ.გ.“ №2 (7), 3 (8) — 1996 წ.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა მართლაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე, მდიდარი და განვითარებული ენაა. „მას ძალიან მაგარი ჩონჩხი აქვს. მისი შემწეობით ენერგიულად და ლაკონიურად შეიძლება აზრის გადმოცემა. ამ ენის სახით ჩვენმა წინაპრებმა ეროვნული ვინაობის თავდაცვის იარაღი გვიანდერძეს, შეუდარებელი თავისი გამძლეობის თვალსაზრისით“ (გ. ქიქოძე).

### 7. სალიტერატურო ენა და დიალექტები (კილოები)

ყოველ კულტურულ ენას თავისი სალიტერატურო ენა აქვს. ეროვნული ენა, იმავდროულად, სალიტერატურო ენაა, მაგრამ ყველა სალიტერატურო ენა ეროვნული არ არის: სალიტერატურო ენა შეიძლება ჰქონდეს ხალხსაც, რომელიც ერად არ ჩამოყალიბებულა.

სალიტერატურო ენა არაა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთა ენა. სალიტერატუროა მეცნიერულ გამოკვლევათა, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტების, ჟურნალ-გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის ენაც. სალიტერატურო ენა, ფართო გაგებით, წიგნის ენაა, სამწერლო ენა.

სალიტერატურო ენა განსხვავდება კუთხური მეტყველებისაგან, დიალექტისაგან („დიალექტი“ ძველბერძნული სიტყვაა და „მეტყველებას“, „წარმოთქმას“, „სამეტყველო მანერას“ ნიშნავს. იგი ერთი ენის ფარგლებში არსებული მეტყველების ნაირსახეობას გულისხმობს. მისი ზუსტი ქართული შესატყვისია „კილო“).

სალიტერატურო ენა ერს (ან ხალხს) ერთი აქვს, დიალექტი — ერთზე მეტი. ქართული სალიტერატურო ენა ერთია, დიალექტი კი თექვსმეტი (16) გვაქვს: ქართლური, კახური, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, აჭარული, სამცხე-ჯავახური (მესხური), ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ინგილოური, ფერეიდნული, იმერხეული (კლარჯული).

ქართული სალიტერატურო ენა ერთიანია, ყველა კუთხის გამაერთიანებელი. ის მთელი ერის საერთო ენაა, დიალექტი კი — მხოლოდ ერთი კუთხის ან მხარის მეტყველება. ამიტომაც ქართულ სალიტერატურო ენაზე ერთნაირად წერენ, კითხულობენ, საზოგადოებაში მეტყველებენ კახელი და იმერელი, მეგრელი და ქართლელი, სვანი და აჭარელი...

ქართული სალიტერატურო ენის ერთობის (ერთადერთობის!) ძალა და მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენს წინაპრებს. არ უნდა დავივიწყოთ ის არც ჩვენ და არც ჩვენმა მომდევნო თაობებმა.

თავდაპირველად სალიტერატურო ენა ერთი გარკვეული დიალექტის საფუძველზე იქმნება. თუ რომელ დიალექტს მიეცემა უპირატესობა, ამას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავს. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, რუსულ სალიტერატურო ენას კურსკ-მოსკოვის კილო უდევს საფუძვლად, იტალიურს — ფლორენციული დიალექტი, ახალ ქართულ სალიტერატურო ენას ქართლ-კახური ასაზრდოებს (ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია). არსებობს მოსაზრება, რომ „თბილისური ქართული ის თარგაა, საძირკვლად რომ დაედო ქართულ სალიტერატურო ენას“ (ბ. ჯორბენაძე)... მაგრამ სალიტერატურო ენა არასოდეს თანხვდება მისი საფუძვლის დამდებ დიალექტს, რადგან სალიტერატურო ენის განვითარებაში სხვა დიალექტებიც მონაწილეობენ მეტნაკლებად.

სალიტერატურო ენა ვითარდება და მდიდრდება სხვა ენებთან ურთიერთობითაც: ხდება ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, ურთიერთზეგავლენა. კარგი თარგმანი ამდიდრებს ენას: შემოდის ახალი სიტყვები, ტერმინები, ყალიბდება ახალი გამოთქმები, მაღლდება ხალხის კულტურული დონე. ცუდ თარგმანს კი მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, კუთხური მეტყველება სხვა ენათა ფართო ხასიათის გავლენას მოკლებულია.

სალიტერატურო ენა დამუშავებულია. დიალექტებიდან თუ სხვა ენებიდან შემოსული სიტყვები საგანგებოდაა შერჩეული, „ერთგვარ დარეკაში გატარებული“ (ვ. თოფურია).

(დარეკა — ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბია. დარეკაში გატარება გამოწრთობას, გამობრძმედას ნიშნავს).

ამდენად, სალიტერატურო ენა, გარკვეული აზრით, ხელოვნურია. იგი, როგორც მწერლობის, მეცნიერების, პრესის, რადიო-ტელევიზიის ენა, დახვეწილია, მყარი, ნორმირებული. მასზე ხორციელდება სისტემატური კონტროლი, რათა არ გაირყვნეს, არ დაინერგოს უმართებულო ფორმები. ამგვარი რამ კუთხურ მეტყველებას არ ახასიათებს, იგი კონტროლისაგანაც თავისუფალია. დიალექტურ მეტყველებას ნორმები არ სჭირდება.

ენის ნამდვილი, ბუნებრივი სიცოცხლე მის დიალექტებშია მოცემული. მართალია, ბევრი დიალექტური ფორმა მიიჩნევა არასალიტერატუროდ, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ გვეთქვა: დიალექტი სალიტერატურო ენის დამახინჯებაა. დიალექტებმა ბევრ შემთხვევაში შემოგვინახეს ბევრად უფრო ადრინდელი და საინტერესო ფორმები, ვიდრე ეს არის რომელიმე, თუნდაც ძველი ავტორის, თხზულებებში. მაქს მიულერის ცნობით, ინგლისური ენის ადგილობრივ კილოკავებში მოიპოვება უფრო ბევრი ძველი ფორმა, ვიდრე — შექსპირის ენაში.

დიალექტები, ლექსიკის თვალსაზრისით, მასაზრდოებელი წყაროა სალიტერატურო ენისა, ოღონდ ეს წყარო ზომიერებისა და გარკვეული პრინციპების დაცვით უნდა იქნეს გამოყენებული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლეილა ბებუხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ღალატი და ერთგულება

ამჯერად უნდა ვისაუბროთ ორ განსხვავებულ ზნესა და ხასიათზე, რომელსაც საფუძვლად უდევს არა ეროვნული სხვადასხვაობა, არამედ ტრადიციისადმი, საკუთარი ისტორიული ფესვებისადმი მიმართება.

ზემოთ ისიც ვთქვი, რომ ამ მხრივ საინტერესო იქნება-მეთქი უჯუშ ემხას ფსიქიკის წარმოჩენა მისივე თანამემამულეების — სამსონ დავანაძისა და ნარიშ ეშბას — დახასიათების ფონზე.

როდესაც მეზღვაურებმა შეიტყეს, რომ მათი მეგობარი ვასილ ხრიტანიუკი მოკლა და მასთან ერთად ერთი მეზღვაური დაჭრა ვიღაც თეთრგვარდიელმა ყაზახთა ოფიცერმა, სოხუმელთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეემზადნენ.

თავის მხრივ, შეშინდნენ და შეშფოთდნენ სოხუმის მოქალაქენი... ქალაქის თავმა სამსონ დავანაძემ და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს თავმჯდომარემ ნარიშ ეშბამ ყურადღება მიაქციეს გადარჩენილი მეზღვაურის ნაამბობიდან სიტყვებს: „ყაზახთა ოფიცერი", „გიორგის კავალერი" და უმალ მიხვდნენ, ვინც იყო ხრიტანიუკის მკვლელი.

„უჯუშ ემხას დავუღუპივართ" , — გაუელვა თავში ერთსაც და მეორესაც ერთდროულად.

„თითქოს საიდანღაც ახალი ძალა და ღონე შეემატაო, ისე დატრიალდა ახლა სამსონ დავანაძე... მილიციის უფროსი მოიხმო მისი თანაშემწეებით და ყველას გასაგონად სასტიკი ბრძანება მისცა: ქალაქი ყველა მხრიდან შეეკრათ. არც ტყვია დაეზოგათ, არც ცეცხლი და არც მახვილი, ოღონდ ოფიცერი ემხა აღმოეჩინათ და მისთვის ცოცხალი მოეგვარათ. მერე თავისი მგრგვინავი ხმის კიდევ უფრო ამაღლებით ხალხს მიუბრუნდა და რუსულად მიმართა, რათა მისი ყოველი სიტყვა მეზღვაურებსაც კარგად გაეგონათ:

— „მოქალაქენო, ჩვენს ქალაქში ქურდულად შემოხიზნული უჯუშ ემხაა ჩვენი დამღუპველი. იგი თავს დასხმია ჩვენს სტუმრებს ქუჩაში და საშინელი მკვლელობა ჩაუდენია. ემხა ჩვენი მკვლელიც არის, ამხანაგებო! შინ გვყოლია მტერი, მოღალატე და დროზე ვერ მივმხვდარვართ; ჩვენი ხსნა საშინელი წყრომისაგან, რომელიც უთუოდ დავიმსახურეთ, მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია: საკუთარი ხელით შევიპყროთ დამნაშავე და მივგვაროთ მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯელის მისაზღავად... თითოეულ თქვენთაგანმა ხელი უნდა გამოიღოს. აბა, ვინც ვარგა, ახლა გამოჩნდება".

კრეისერის შიშით დაზაფრულმა მოსახლეობამ „ივარგა" და „მოღალატე" მალე მიჰგვარეს „შმიდტის" კაპიტანს.

როგორც ვხედავთ, ხალხს უჯუშ ემხა მოღალატედ გამოუცხადეს. სამსონ დავანაძე და ნარიშ ეშბა კი, ერთი შეხედვით, ხალხის ერთგული და მისი ინტერესების დამცველნი ჩანან.

არადა ყველაფერი პირიქით არის.

უჯუშ ემხა თავისი ხალხის ერთგულია, რადგან ამ ხალხის საუკუნეებში გამოტარებულ ღირსებას იცავს.

დავანაძე და ნარიშ ეშბა კი თავად არიან მოღალატენი, რადგან საკუთარი ტყავის დაცვის მიზნით თავისი თუ ხალხის ღირსებას ფეხქვეშ თელავენ.

ასე რომ, ახალ დროში, ახალ მეთაურთა წყალობით აღრეულია ცნებები— ღალატი და ერთგულება, გმირობა და ლაჩრობა.

პირველ ყოვლისა, ვნახოთ, როგორ იქცევა ექსტრემალურ სიტუაციებში ხალხის „მოღალატე" უჯუშ ემხა.

როცა ვასილ ხრიტანიუკმა ქუჩაში თეთრგვარდიელი ოფიცერი დალანდა, გიჟივით თვალები დააბრიალა, რევოლვერის ტარს ხელი მაგრად ჩასჭიდა და დაედევნა, მას ამხანაგებიც მიჰყვნენ.

— ჰეი, შესდექ, უფალო ოფიცერო! — შორიდანვე დაუყვირა ემხას ხრიტანიუკმა.

— მინდა გამოგეცნაურო, უფალო ოფიცერო! კრეისერ „შმიდტის" მეზღვაური გახლავარ, ვასკა-პირატი. აბა, მითხარი, შენ ვინა ხარ? — მიახლოებისთანავე მიმართა გამომწვევი შეყვირებით მეზღვაურმა უჯუშ ემხას.

ემხას მშობლიურ ქალაქში გულდიდად მოსეირნე ეს უცხო კაცი სიძულვილის სიტყვიერ გამოხატულებას არ დასჯერდა. უჯუშის გარეგანმა სიმშვიდემ ცეცხლი წაუკიდა. მოთმინება არ ეყო ოფიცრის ეპოლეტებისა და ოქროს ორდენისათვის კიდევ ეცქირნა.

— პასუხი ჩქარა, ვინ ხარმეთქი! — შეჰყვირა ერთხელ კიდევ და მარცხენა ხელი ემხას მარჯვენა მხარს ხმალივით შემოუქნია. კლანჭებად მომარჯვებული თითები ეპოლეტებში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია.

რუსეთის სამოქალაქო ომიდან მშობელ კერაზე მობრუნებულ უჯუშ ემხას „სიცოცხლის გარდა ორი რამ განძი ჩამოჰყოლოდა, რომლებსაც სიცოცხლეზე უფრო აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი ნაოცნებარი, ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისავე წმინდა გიორგის ოქროს ორდენი".

მისი ადამიანური თავმოყვარეობა უკიდურესად შეურაცხყვეს. თავად თავს არიდებდა ბოლშევიკ მეზღვაურებს, ისინი კი მისსავე სამშობლოში, მის მშობლიურ ქალაქში შემოჭრილან და მეძებარი ძაღლივით დასდევენ. ოფიცერმა ღირსების შეურაცხყოფა არ აპატია მომხდურს და იმავე წამს მისი რევოლვერი გავარდა. განგმირული ვასილ ხრიტანიუკი მიწაზე პირაღმა გაიშხლართა უსულოდ.

ხრიტანიუკის მეორე მეგობარსაც მაშინ ესროლა, როცა მეზღვაურმა რევოლვერი იძრო...

ამ ეპიზოდის მიხედვით ემხა მკვლელი არ არის. უბრალოდ, მომხდურისაგან იცავს თავს. როცა თავის ძიძიშვილს ნახავს, შეწუხებული შესჩივლებს:

— იცოდე, თავსი დამესხნენ, ჰაკი...

უჯუშს ბიძის ოჯახში გა-

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ბ.ე." №2(7), 8(8)1996)

დამალავს ჰაკი.

— „კაცი“ თავი შევადარე შენს ჭერს,მაგრამ შენ ეს არ იცოდი და ვითომ არც ახლა იცი, ნუ გაუწყრები ჰაკის“ — მიმართავს იგი მოსალოდნელი საშიშროებით შეწუხებულ მასპინძელს და თადარიგს იჭერს, რათა ამ ოჯახს დროულად მოსცილდეს და მოსალოდნელი თავდასხმისაგან დააზღვიოს. საფრთხეში ჩავარდნილი უჯუში სხვის უსაფრთხოებაზე ფიქრობს, ეს ფაქტიც მის კეთილშობილებას ადასტურებს.

როდესაც ემხას დედიდაშვილი, თოუხან მარშანი გამოეცხადა და აუწყა, უნდა ჩაბარდე მტერს, რადგან შენს გამო მძევლები აიყვანესო, უჯუშმა განაცხადა:

— მესმის, ძმებო, ყველაფერი. დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში. საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ გამოვცხადდე.

ეს გადაწყვეტილებაც მის რაინდულ ბუნებას უსვამს ხაზს.

როცა ჰაკი აძბამ დაინახა, რომ საშველი არსაით იყო, მილიციის უფროსს განუცხადა: „უჯუშ ემხას მე ვახლდი იმ დროს, როცა მას მეზღვეურები თავს დაესხნენ. იმისათვის ვატარებ იარაღს და დედაჩემის გაზრდილს იმისათვის ვახლავარ დღედაღამ, რომ ის ყოველი ხიფათისაგან დავიცვა. თავდამსხმელებს მე ვესროლე რევოლვერი და ჩემმა ტყვიამ ორი მათგანი იმსხვერპლა. უჯუშ ემხას კი იარაღისათვის ხელიც არ უხლია“.

ჰაკის სიტყვის გაგონებაზე ემხამ ადგილიდან მორღვევა დააპირა, მაგრამ ხუთიოდე თავადის ხელისგული პირზე აეფარა და სუნთქვა შეეკრა.

— უჯუშ, ხმა არ ამოიღო. ძიძიშვილი რომ არის, თავიც უნდა გაწიროს შენთვის. კარგად იქცევა, იცოდე, სიტყვა არ დაძრა, — ეუბნებოდნენ უჯუშს მისი ახლობლები.

# შევეკითხოთ სიტყვის პაპას

გაცისკრება არს უწინარესი განთიადისა, ხოლო განთიადი არს მოწევნა ნათლებისა, რამე ნაწილი, ხოლო ალიონი, რა ღამე და დღე გაირჩეოდეს, ამათ ყოველთა დილა ვიდრე მზის მოსვლამდე და ვიდრე მზის აღმოსვლამდე წითელთა ღრუბელთა დაფიონა ეწოდების.

**მშვიდი** — აუჩქარებელი და მომთმინი. შეუდგს სიმშვიდესა სიჯაბნე: ოდეს სხვას ევნებოდეს და არა უშველოთ, ესე სიჯაბნე არს, ხოლო ოდეს ჩვენ ბოროტი შეგვემთხვიოს და დავითმინოთ, ეს სიმშვიდე არს.

**პირი** არს ბაგეთა აღმა; პირად ითქმის პირისახე კაცისა; პირად ითქმის პირობისა და პაემნის მიცემა; პირად ითქმის ზღვათა და წყალთა კიდური; პირად უწოდენ ჭურჭელთა ბაკისა; პირად უწოდენ ლახვართა და მახვილთა მკვეთელობათა.

**უმეცრებაჲ** სამ სახე არს: პირველი არცა სმენა და არცა სწავლა; მეორე იჭვით ცოდნა და არა მართლად და სხვის გამოკითხვამდე ქმნა; მესამე არცა მართლიად ცოდნა და არცა სხვისა კითხვა, რათა არა დაუმალოს და ვერღარა ქმნას. დიდი გარჩევა თამს.



ემხამ ტოლი არ დაუდო ძიძიშვილს. თავადებს ხელიდან დაუსხლტა და განაცხადა:

— აქ ვარ, მეზღვაურების ნამდვილი მკვლელი და გნებდებით.

იგივე სცენა განმეორდა გემზე, კუზმა მრისხანეს თვალწინ, მაგრამ ემხამ ძიძიშვილის თავგანწირულების ხარჯზე არ ისურვა სიცოცხლის შენარჩუნება.

არც ეს არის მოღალატის საქციელი...

დაბოლოს, უჯუშ ემხას პორტრეტი მთელი დიდებულებით გაიელვებს მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. დასახვრეტად გამოყვანილი ემხა „თავაწეული მოაბიჯებდა, დინჯად და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა. განიერი ბეჭები ოდნავი რხევით მოჰქონდა. გემის ბანს იქით იცქირებოდა მაღლა გამართული თვალებით. გახევებულ და უმეტყველო სახეს მხოლოდ ერთი ხაზის მკრთომარება უცხოველებდა, რომელიც უძრავად თვალებში შეფინებოდა. ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს. პირდაპირ ცის კიდურზე გართხმულ მოწითალო სინათლის კრთომას შეჰყურებდა, სადაც ნათელი დღის კარი უნდა გაღებულიყო“.

როგორც ჩანს, ღირსების შემჩნევას ულირსებო ადამიანებო ვერ ახერხებენ... ისინი, ვინც უჯუშ ემხა მოღალატედ მონათლა, სწორედ უღირსებო ადამიანები იყვნენ, ხალხის ერთგულ მსახურებად კი ასაღებდნენ თავს.

უჯუშმა საკუთარი ღირსება ვაჟკაცურად დაიცვა და მტერს მტრულად დაუხვდა.

დავანაძე და ეშბა კი მლიქვნელური ღიმილით ფიანდაზად ეგებიან მომხდურს. ჰაკი აძბა, უჯუშ ემხა, დავანაძე და ეშბა ერთი ისტორიის, ერთი ფსიქიკისა და ზნეობრივი კოდექსის მქონე ხალხის შვილები არიან, მაგრამ ისინი უკვე ალარაფრით ჰგვანან ერთურთს, რადგან ჰაკი და ემხა წინაპართა დაუწერელ კანონებზე აღიზარდნენ. დავანაძე და ეშბა კი, როგორც ძველი რევოლუციონერები, ანუ სოციალ-დემოკრატები, ამ დაუწერელი კანონების უარმყოფელნი არიან.

ემხა საკუთარ „ეპოლეტსაც“ კი არ დაუთმობს მტერს და მზად არის, სიცოცხლე გაიღოს პირადი ღირსების დასაცავად.

დავანაძე და ეშბა მზად არიან, მთელი სოხუმი აჩუქონ კუზმა რუსს საკუთარი ტყავის გადასარჩენად.

იმ დროში, რომელიც მწერალმა აღწერა, საქართველოს დავანაძისა და ეშბას ტიპის ხელმძღვანელები მართავდნენ. იმ ეპოქაში კი, რომელშიც „ჰაკი აძბა“ იწერებოდა, — კუზმა მრისხანეს ტიპის განმგებლები.

ემხასა და ჰაკისთვის, ანუ ღირსებისა და ეროვნული ტრადიციებისთვის კი ადგილი არ ჩანდა.

ამ მწარე საფიქრალს აღძრავს მოთხრობა „ჰაკი აძბა“.

თუმცა, ერთმა გარემოებამ იმედიც შეიძლება დაგვიტოვოს. ჰაკი ზღვაში იხრჩობს თავს. წყალში დამხრჩვალი კი ქართული მითოლოგიური წარმოდგენით კვლავ უნდა აღდგეს, ანუ კვლავ უნდა აღდგეს ის ღირსებები, რითაც თხზულების ორი მთავარი გმირი ხასიათდება.

ნოდარ გრიგალაშვილი

## ენა და მწერალი

# პერსონაჟის მეტყველება ისტორიულ რომანში

ისტორიული რომანის ენა, უმეტესწილად, განსხვავდება არაისტორიული რომანის ენისაგან. განსხვავებას, ძირითადად, ქმნის მოძველებული სიტყვებისა და ფორმების: ისტორიზმებისა და არქაიზმების (როგორც გრამატიკული, ისევე ლექსიკურის) ჭარბი გამოყენება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დასახასიათებელი ეპოქის სტილის შექმნასა და შეგრძნებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პერსონაჟის მეტყველებას, რამდენადაც ავტორისეული თხრობა, როგორც წესი, მიმდინარეობს მწერლის დროინდელი ეპოქის, ხოლო მოქმედი პირის მეტყველება კი — რომანში აღწერილი ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი ენით.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ შესანიშნავ მასალას გვაძლევს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა". სწორედ ეპოქის კოლორიტის შექმნას ემსახურება რომანში გამოყენებული ისტორიზმები და არქაიზმები, რომლებიც წარმოდგენილია სასულიერო და მაღალი არისტოკრატიული წრიდან გამოსული მოქმედი პირების მეტყველებაში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის, მელქისედეკის, სახე. გავიხსენოთ მისი საუბარი ზვიად სპასალართან: „ჯანმრთელობა ჩემი ფრიად შერყეულია, ზვიად ბატონო,... არც მე მწადის, საქართველოს დაქცევის მოწმე რომ გავხდე. უმალ დამეხებია ეს თვალნი და ყურნი დამეგმანება, სმენად ბოძებულნი უფლისა მიერ.

რამეთუ ნეტარ არიან იგინი, ვისაც სიკვდილი უმალ უწევს, ვიდრე საკუთარის თვალით იხილავდნენ სამშობლოის თვისის იავარყოფას...

უხუცესობა მოძალებულ არს საქრისტიანოსა ზედა. ასეთ დროს ხუცესის სიმტკიცე... თუ ვერ შევინარჩუნეთ, ვერას გვიშველის ის ციხეები, რომელთაც მეოხებით მეფისათა აშენებ, ზვიად ბატონო, შენ".

საერთოდ მელქისედეკის საუბარი მეტი არქაულობით ხასიათდება სხვა პერსონაჟთა მეტყველებასთან შედარებით და ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი უმაღლესი სასულიერო წრის წარმომადგენელია. არ შეიძლება მისი მეტყველება გაუთანაბრდეს საერო წრის, თუნდაც უმაღლესი არისტოკრატიის, წარმომადგენელთა მეტყველებას. მისი საუბრისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს სასულიერო ლიტერატურის, ეკლესიურ-წიგნური ენის გავლენა და, ჩვენი აზრით, ავტორსაც გამოკვეთილი სიფაქიზითა და ზუსტი დოზით შეაქვს მის მეტყველებაში არქაიზმები. ისინი ისეა განაწილებული და შეზრდილი მელქისედეკის ენაში, რომ არ ქმნიან საგანგებო არქაულ შთაბეჭდილებას. არქაიზმები მელქისედეკის მეტყველების ზედაპირზე არაა ამოტივტივებული. უცხოდ კი არ ეცემიან მკითხველს თვალში, არამედ ნაქსოვნი არიან პერსონაჟის ენის ქსოვილში. ეს გარემოებება მელქისედეკის მეტყველებას უძლევს ბუნებრიობასა და ორგანულობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რომანში გადმოცემული ეპოქისათვის დამახასიათებელი ენობრივი კოლორიტის შექმნას.

ბუნებრივი და ორგანულია მელქისედეკის მეტყველება მაშინაც, როცა მას მეტად მკვეთრი ეკლესიურ-წიგნური ელფერი დაჰკრავს. ასეთია მისი საუბარი რუსუდანისაგან განდევნილ მამამზე ერისთავთან ქორსატეველას ციხეში. შედარებით მეტ არქაულ ელფერს განაპირობებს და სავსებით ამართლებს საუბრის მიზანი: განდევნილი ერისთავის მოქცევა.

„მეფეთმეფე გიორგი სულგრძელია. იგი დიახაც იმჩნევს თათბირთა ჩემთა. რამეთუ არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღებად. ესე ხამს, ქრისტიან მეფეთა და ეკლესიის მწყემსთა სახარებითა მაცხოვრისათა და ჯვარითა პატიოსნითა უჩვენონ ქვეშევრდომთა თვისთა გზაი ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, რათა ძალმან ძელიცხოველისამან განანათლოს ბნელი ცთომილების გზაზე შემდგართა გულში".

ასეთივეა მელქისედეკის სიტყვა ჭიაბერის წესის აგებისას:

— ავაზაკთა შორის ჯვარს ეცა, მხსნელო, დაისაჯე ძელითა ცხოველითა, სიკვდილი მოკალ უკვდავმა სიკვდილითა, სამ დღე დუმილობილმან ხორცითა ბნელი განაქარვე ნათლითა".

ავტორის მიზნით, და სავსებით მართებულადაც, რომ არ შეიძლებოდა ერთიერთისაგან განსხვავებული არ ყოფილიყო მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა და მდაბიოთა მეტყველება. ამიტომაც ერთმანეთისაგან განსხვავდება მეფე გიორგისა და პიპას, შორენასა და ვარდისახარის და სხვათა მეტყველება. ამ განსხვავების გამოხატვის ძირითადი საშუალება მწერლისათვის, დიალექტიზმებთან ერთად, არქაიზმებია. ამიტომ მეფეთა, ერისთავთა და არისტოკრატიის სხვა წარმომადგენელთა მეტყველებას რამდენადმე არქაული ელფერი აქვს მიცემული.

გამორჩეულად ძლიერ ემოციურსა და მხატვრულ შთაბეჭდილებას ქმნის პერსონაჟთა სიძველის ნიშნის შემცველი მეტყველება იმ შემთხვევაში, როცა მის გვერდით ავტორისეული თხრობა სავსებით თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენით მიმდინარეობს. მაგალითად:

„როცა ეს ოქროს კულულებიანი გოლიათი ეახლა, ჰაერში ჯვარი გადასახა სახეშეჭმუხნილმა მელქისედეკმა, მერმე ძელიცხოველის ჯვარი ამოიღო ლუსკუმიდან, დააცქერდა მის ფერხთით დამუხლულის თავთუხისფერ კულულებს და მკაცრად სთქვა:

„მეფეთ მეფემან გიორგიმ, აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა ბატონმან გიბრძანა, ერისთავთ ერისთავო ჭიაბერ..." — თანაც მოაგონებულად ზეასწია ხელი. „მეფეთ მეფემან გიორგიმ გიბრძანა — განიმეორა მტკიცედ და ხმა აუკანკალდა კათალიკოსს, — განაგდე ეშმაკეული, ქრისტეს შეუდგე, მოიქეც კვლავ და მოკრძალებით ემთხვიე ამ ძელიცხოველსა".

კიდევ უფრო ნათლად დაჩნდება რომანში გამოყენებული არქაიზმთა სტილური ფუნქცია, თუ ამ არქაიზმებს ნებისმიერ კონტექსტში შევცვლით თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმებს დაქვემდებარებული პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითა თუ ლექსიკით და შევადარებთ რომანისეულ კონტექსტთან. ასე მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს:

1. „შემდგომ ამისა გადმოიღო კათალიკოსმან ძელიცხოველი, დაადვა მიწაზე და შეჰღაღადა: „უკეთუ მიმცე ხელთა მტრისათა, აღარ თაყვანი გცე უკუნისამდე" და (რომანისეული წინადადება).

— ამის შემდეგ კათალიკოსმა გადმოიღო ძელიცხოველი, დააყრდნო მიწაზე და შეჰყვირა: თუ მტრის ხელში ჩამაგდებ, აღარ გცემ თაყვანს სამუდამოდ (არარომანისეული იგივე წინადადება).

2. „რამეთუ ნეტარ არიან იგინი, ვისაც სიკვდილი უმალ უწევს, ვიდრე საკუთარის თვალით იხილავდნენ სამშობლოის თვისის იავარყოფას" (რომანისეული წინადადება) და

რადგან ბედნიერნი არიან ისინი, ვისაც უფრო ადრე უწევს სიკვდილი, ვიდრე საკუთარი თვალით დაინახავდნენ თავიანთი სამშობლოს განადგურებას (არარომანისეული იგივე წინადადება).

ვფიქრობთ, თვალის ერთი შევლებაც კი საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ რომანში წარმოდგენილი წინადადებების მხატვრულ სრულყოფილებაში არარომანისეულ წინადადებებთან შედარებით. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაძლიერდება, თუ თითოეულ მათგანს წარმოვიდგენთ რომანის ერთიან ენობრივ ქსოვილში.

თამარ ინჯია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ო, ენავ ჩემო...

### „საქართველოს რესპუბლიკის კანონი"

„1. გათავისუფლდეს ყველა იურიდიული პირი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე" და „საგადასახადო სისტემის საფუძვლის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 11 ნოემბრის კანონებით დადგენილი გადასახადების გადახდის დაგვიანებისათვის 1994 წლის 1 დეკემბრიდან 1995 წლის 1 აპრილამდე ყოველდღიური ორპროცენტიანი საურავით დარიცხული თანხების გადახდისაგან".

ეს რებუსი ამოღებულია ერთ-ერთი „კანონიდან" (რომლიდან, — მნიშვნელობა არა აქვს — ასეთი მრავლადაა).

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ გვიპასუხოთ:

1. ნუთუ ქართულ ენას არ ძალუძს ამ საკმაოდ უბრალო აზრის ცოტა მკაფიოდ და გასაგებად გამოხატვა, თუნდაც კანონის ენის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. თუ მიგაჩნიათ, რომ ქართული ენის სინტაქსური შესაძლებლობანი მეტის საშუალებას იძლევა, შემოგვთავაზეთ ამ უზარმაზარი წინადადების უფრო გამართული ვარიანტი.

გამარჯვებულისათვის დაწესებულია პრემია — (თუ რა, ამას ჯერჯერობით საიდუმლოდ ვინახავთ), საუკეთესო ვარიანტს გამოვაქვეყნებთ.

შენიშვნა: კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია განხილული ვარიანტის შემდგენსაც.

### «ვაშლი როგორ?»

მშობლიური ენისადმი პატივისცემის დამადასტურებელი ერთი მთავარი ნიშანი გრამატიკულად და აზრობრივად გამართული ფრაზებით მეტყველებაა, რასაც მაინცდამაინც ვერ დაუკავშირებთ (?) თანამედროვენი. არა მხოლოდ ირღვევა სალიტერატურო ენის ნორმები, არამედ ხშირად საოცრად მახინჯი ქართული ისმის, ბევრი იწერება ტელევიზიის, პრესის ქართულზე და გაცილებით ცოტა ქუჩის, ბაზრის ქართულზე (არადა, არის საშიშროება ამ სახის ქართულის სამწერლობო ენაში შემოჭრისა).

თანამედროვე ბაზრის ქართულის აღწერა-ანალიზისათვის რამდენიმე სქელტანიანი ნაშრომი იქნება საჭირო. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ გავრცელებულ შეკითხვებზე, როგორიცაა: ვაშლი როგორ? კარტოფილი როგორ? კვერცხი როგორ? და მისთანანი. ასეთი შეკითხვით მიმართავს მყიდველი გამყიდველს და იგებს საქონლის ფასს, ღირებულებას, მაგრამ არცთუ იშვიათად გამყიდველი ასე უპასუხებს: კარგად, ძალიან კარგად, ლამაზად და ა.შ. ყურისმომჭრელია არამარტო შეკითხვაც და ირონიული, ოღონდ მართალი, პასუხიც. შეკითხვა „ვაშლი როგორ?" ცვლის მართებულ შეკითხვებს: „რა ღირს ვაშლი?" „რას ითხოვ ვაშლში?" „რამდენად ჰყიდი ვაშლს?" და მისთანანი, რომლებიც რაოდენობაზე, კონკრეტულ თანხაზე, ფასზე მიუთითებენ. ყიდვა — გაყიდვის პროცესში კი უშუალოდ კონკრეტული თანხით ინტერესდება მყიდველი. შეკითხვა „ვაშლი როგორ?" სრული სახით მხოლოდ ამას გულისხმობს: ვაშლი როგორ ფასობს (იყიდება). როგორ არ მიუთითებს კონკრეტულ რაოდენობაზე, ამიტომაც აღნიშნული შეკითხვის პასუხია: ვაშლი ძვირად (იაფად) ფასობს (იყიდება).

ნათელია, რომ კონკრეტული (რა ღირს? — 3 ლარი) და ზოგადი (როგორ ფასობს? — ძვირად) კითხვა — პასუხი განსხვავდება ერთმანეთისაგან და აუცილებელია ეს განასხვაოს მყიდველმაც და გამყიდველმაც.

**მანანა ჩაჩანიძე**

## ენა ეძებს სიტყვას

### დაცხრილეს...

ამ სიტყვას ხშირად გავიგონებთ ტელე და რადიორეპორტაჟებში, როდესაც სამხედრო მოქმედებებზე საუბრობენ, და იხმარება როგორც რუსული обстрелявали-ს ეკვივალენტი. ამავე დროს ყველა გრძნობს, რომ ამ შემთხვევაში ეკვივალენტობა არ გამოდის, ამიტომაც სხვა ვარიანტებიც გვხვდება: ცეცხლი გაუხსნეს, ესროლეს, სროლა აუტეხეს. ბოლო ხანებში უპირატესობა „დაცხრილეს" ეძლევა, ალბათ იმიტომ, რომ ერთი სიტყვაა, რაც ცოტა როდია, მაგრამ მაინც არასაკმარისია ეკვივალენტობისათვის. განსაკუთრებით აზრობრივად და ბუნებრიობის თვალსაზრისით. მართლაც „დაცხრილეს" ნიშნავს „გახვრიტეს ბევრგან, დაცხავეს, ბევრი ჭრილობა მიაყენეს. თუნგქი ტყვიით დაცხრილეს" (ქეგლ-ის ერთტომეული). Обстрелявали კი ნიშნავს კუმბარების, ჭურვების, ტყვიების დაშენას. (ეს სამხედრო ტერმინია და თუნდაც ამის გამო უნდა დაედგინოს ზუსტი შესატყვისი, რადგანაც სამხედროთათვის გამოთქმები „ზარბაზნებით დაცხრილეს", „სამჯერ დაცხრილეს" საკმაოდ უწიგნურად ჟღერს და სამხედრო ლაპარაკისთვის არ ვარგა). „დაცხრილვა" ნიშნავს სრულ განადგურებას, обстрел — არა. იქნებ ასეთი სროლის მიზანი მხოლოდ შეწუხება, გაღიზიანება ან ყურადღების ყალბი მიმართულებით წარმართვა იყოს.

ამიტომ „обстрелявали"-ს უპირატეს ეკვივალენტად, ალბათ, უნდა ჩაითვალოს „სროლა აუტეხეს". ეს გამოთქმა ზუსტად გამოხატავს რუსული ტერმინის შინაარსს და „დაცხრილესაც" უტოვებს მის კუთვნილ ადგილს. ერთი ნაკლი აქვს — ორი სიტყვაა. მაგრამ განა ცოტაა ნებისმიერ ენაში ორსიტყვიანი ტერმინი? სამაგიეროდ, „სროლა აუტეხეს" ძალიან ზუსტად გადმოგვცემს იმ აზრსა და სიტუაციას, რის გამოხატვაც გვსურს, როდესაც საკმაოდ მოუხერხებლად ვამბობთ „ქალაქი სამჯერ დაცხრილეს ჭურვებით".

**გიორგი ციბახაშვილი**

რედაქციისაგან: თუ მკითხველი უკეთეს ვარიანტს შემოგვთავაზებს, ჩვენ სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

## სიტყვის ისტორია

### პირუბანელი და პირდაბანილა

გიორგი შატბერაშვილის „თვალადურ ქიშნაკში" გვხვდება ერთი საინტერესო ტერმინი „პირუბანელი პური", რაც, ავტორის განმარტებით, უსაფანლოდ გამომცხვარ პურს ნიშნავს.

ვფიქრობთ, ამ ტერმინში, გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე იგარაუდება უსუფთაოდ — პირუბანელი ქალის მიერ გამომცხვარი პური, რადგან ხალხური ტრადიციის თანახმად, პირდაუბანელი ქალი პურს თუ გამოაცხობდა, პური უხარისხო ან კუტი გამოდიოდა.

...

პირდაბანილა ლობიოს ერთ-ერთი ჯიშს ეწოდებოდა გურიაში.

ხალხური ტრადიციის თანახმად, თეთრი ლობიოს ქაფი გამოიყენებოდა სახიდან ლაქებისა და ფერისმჭამელების მოსაცილებლად, იგი ასევე იხმარებოდა ჭრილობების შესახორცებლად. ლობიოს ფესვიდან მზადდებოდა საცხი, რომელიც გამოიყენებოდა სახისა და კბილების გასაწმენდად. საინტერესოა, რომ იაპონური პუდრი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, მზადდებოდა ლობიოს ფუნვილისაგან.

ირკვევა, რომ ლობიოს ჰქონია კოსმეტიკური საპნისა და სამკურნალო მალამოს დანიშნულებაც. როგორც ჩანს ასეთ ლობიოს ეწოდა პირდაბანილა.

...

ვფიქრობთ, ასეთი უნდა იყოს შინაარსი და წარმომავლობა ხალხური ტერმინებისა — პირუბანელი და პირდაბანილა.

**ქეთევან სიხარულიძე**

თვალსაზრისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქურდიანი

# საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციისა და ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის

საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციისა და ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების სქემა შეიძლება ასეთი სახით იქნეს წარმოდგენილი:




ქართული ზანური სვანური

სადაც: ა — საერთო-ქართველური ენა; ა-ბ — ქართული; ა-გ — სვანურ-ზანური ენობრივი ერთობა; გ-ბ'. — სვანური, გ-დ — ზანური;

ისტორიულ ქართველურ ენათა კომპარატივისტული კვლევა უდავოს ხდის საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიურ სისტემაში სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგის რეკონსტრუქციას, სადავო შეიძლება მხოლოდ ამ რიგების ინტერპრეტაცია იყოს (გ. მაჭავარიანი — 1960, კ.ჰ. შმიდტი — 1962, გ. წერეთელი — 1965...).

საერთო-ქართველური ენა გაიყო (დაიშალა) ორ: აბ (აღმოსავლურ) და აგ (დასავლურ) არეალად, რომელთაგან არც ერთში უცვლელად არ ასახულა (არ გაგრძელებულა) ფუძე ენის ფონოლოგიური სისტემა (შდრ. არნ. ჩიქობავა — 1948, ქ. ლომთათიძე — 1993);

აბ არეალი (ისტორიული ქართულის გავრცელების ზონა) მივიღეთ საერთო-ქართველური ენის სიბილანტთა სამი რიგის ორ რიგად ტრანსფორმაციის შედეგად:

საერთო-ქართველური → ქართული:

1. წინა (სისინა) და შუა (შიშინა) სიბილანტური გვაძლევს წინა სიბილანტურს (სისინას)

2. უკანა-სიბილანტური (შიშინა) უცვლელი რჩება

ე.ი. მოხდა ფონოლოგიური სისტემის „გასისინება", საერთო-ქართველური ენის შუა-სიბილანტური რიგის წინ გადაწევა.

აგ არეალში (ისტორიული სვანურისა და ზანურის გავრცელების ტერიტორიაზე) შენარჩუნებული იქნა სამი რიგი, მაგრამ მოხდა მისი ფონოლოგიური ტრანსფორმაცია:

საერთო-ქართველური → სვანურ-ზანური:

1. წინა-სიბილანტური (სისინა) უცვლელი რჩება.

2. შუა-სიბილანტური (სისინ-შიშინა) გვაძლევს უკანა-სიბილანტურს (შიშინას)

3. უკანა-სიბილანტური (შიშინა) გვაძლევს წინა-სიბილანტური (სისინა) + წინაველარული ხშული.

ე.ი. მოხდა შუა-სიბილანტური რიგის უკან გადმოწევა — „გაშიშინება", ხოლო უკანა-სიბილანტური (შიშინა) რიგის შესატყვისად მივიღეთ კომპლექსები (რომელთა სისინა წევრი სპორადულად განიცდიდა გაშიშინებას (მ. ქურდიანი — 1987. შდრ. გამყრელიძე — კარტოზიას წესი).

დასავლეთის არეალის ენა (სქემაზე ა-გ) უნდა განიხილებოდეს როგორც სვანურის ტიპის სვანურ-ზანური ენობრივი ერთობა, რადგან სქემის ა-გ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ისევე, როგორც ა-ბ მონაკვეთში) გადაწევები შეეხო მხოლოდ თანხმოვანთა სისტემას და შენარჩუნებული იქნა საერთო-ქართველური ენის ვოკალური სისტემის მოდელი (წინა წარმოება). შუა-სიბილანტური რიგის ტრანსფორმაციის მიხედვით შეიძლება პირობითად აღვნიშნოთ ქართული, როგორც სისინა ენა, ხოლო, სვანურ-ზანური ერთობა და საკუთრივ სვანური და ზანური ენები, როგორიც შიშინა (ნ. მარის ტრადიციის თანახმად) იმ განსხვავებით, რომ ფუძე ენის ვოკალურ მოდელთან მიმართების ნიშნით გვექნება — სისინა-ა ენა (ქართული), შიშინა-ა ენა (სვანურ-ზანური ერთობა და საკუთრივ სვანური) და შიშინა-ო ენა (ზანური).

მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური ნიშანსვეტია სვანურ-ზანური ერთობის დაშლა (გაყოფა) შიშინა-ა (სვანურ) და შიშინა-ო (ზანურ) ენებად, როდესაც ზანურში (სქემაზე გ-დ) მოხდა ხმოვანთა არტიკულაციის უკან „გადმოწევა". დანარჩენ ფონეტიკურ პროცესთა აბსოლუტური უმრავლესობა ხდებოდა საკუთრივ ისტორიულ ქართველურ ენებში და მათი რეკონსტრუქცია არ ხერხდება არც სვანურ-ზანური ენობრივი ერთიანობის და არც საერთო-ქართველური ენის დონეზე.

ამდენად, საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის ნებისმიერი იერარქიული დონის არქეტიპების რეკონსტრუქციისათვის საკმარისია მათი ფონეტიკური შესატყვისობების დაძებნა სისინა-ა (ქართულ) და ორიდან ერთ-ერთ შიშინა ენაში (შდრ. გ. კლიმოვი — 1964); მხოლოდ სვანური (შიშინა-ა) და ზანური (შიშინა-ო) ენების მასალის შეპირისპირებით არქეტიპები აღსდგება სვანურ-ზანური ერთიანობის ხანისთვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე — სვანური არ შეიძლება განხილული იყოს როგორც ნარევი ენა (შდრ. ნ. მარი — 1912, არნ. ჩიქობავა — 1948, ქ. ლომთათიძე — 1993), გამოსარიცხია მასში ადიღური სუბსტრატის არსებობის ჰიპოთეზაც — სვანური, როგორც ქართველური ენა, ავლენს კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს სხვა ქართველურ ენებთან და მხოლოდ და მხოლოდ მათთან. ის ამ ენობრივი ჯგუფის უძველესი (ფუძე-ენიდან ქართულის თანადროულად გამოყოფილი) და უმნიშვნელოვანესი (ფუძე-ენის ფაქტების რეკონსტრუქციის თვალსაზრისით) წევრია.

კომპარატივისტიკის თვალსაზრისით მეგრული და ლაზური (ზანური) ერთი ენის ორი დიალექტია (არნ. ჩიქობავა — 1936), როგორც მაგ. გურული და ხევსურული, და არა ორი ენა (შდრ. ნ. მარი — 1910, გ. კლიმოვი — 1964, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე — 1990...). ორ ენად მათი გამოცხადება მხოლოდ სხვა საენათმეცნიერო დისციპლინის — სოციოლინგვისტიკის პოზიციიდან შეიძლება (ნ. მარი — 1915) და ისიც პირობითად. ხოლო ერთი მეცნიერების იმანენტური კანონებით გაპირობებული დეფინიციის (ან ტერმინის) მეორე დისციპლინაში გამოყენება მეთოდის თვალსაზრისით არაკორექტულია (ენის ცნება საკუთრივ ლინგვისტიკასა და სოციოლინგვისტიკაში იდენტური არაა).

საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციის წინამდებარე სქემა თვალსაჩინოდ განსხვავდება არსებული სქემებისაგან (ნ. მარი — 1910, გ. დეეტერსი — 1930, არნ. ჩიქობავა — 1948, კ.ჰ. შმიდტი — 1961, გ. წერეთელი — 1965, ქ. ლომთათიძე — 1993), იგი ემყარება ბგერათშესატყვისობათა სისტემას, როგორც ენათა ნათესაობის დადგენის, მონათესავე ენათა ურთიერთმიმართების გარკვევისა და ფუძე-ენის „რეკონსტრუქციის" ერთადერთ უტყუარ კრიტერიუმს.

ნ. მარის (1910) სქემასთან, რომელიც 7 (!) ქართველურ ენას მოიცავს (როგორც ისტორიულს, ასევე ჰიპოთეტურს), წინამდებარე სქემას იმდენად ცოტა საერთო აქვს, რომ განსხვავებებზე ყურადღების გამახვილებაც არ ღირს.

გ. დეეტერსის (1930) სქემისგან, რომელიც ერთი განცხადების თანახმად „დღეს თითქმის უცილობლად არის გაზიარებული", იგი განსხვავდება: ა) ზანურის არა ქართულ-ზანური, არამედ სვანურ-ზანური ერთიანობისაგან გამოყოფით (რითაც მოიხსნა სირთულე სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე არტიკულაციის ორჯერ (ჯერ სვანური, შემდეგ ზანური) ერთი და იმავე ფონოლოგიური ნიშნით (გაშიშინება) გადაწევის ახსნისა ტიპოლოგიური მონაცემებით, ტოხურისა და ჩადჭოლურის მაგალითზე); ბ) მეთოდის სიმკაცრით, რადგან ემყარება მხოლოდ ფონოლოგიურ იზოგლოსებს და მტკიცებისათვის არ საჭიროებს ლექსიკურ-მორფოლოგიური იზოგლოსების მოხმობას. რაც არა მარტო არაკორექტულია მეთოდის თვალსაზრისით, არამედ არც უტყუარია, როგორც ეს ქართველურ ენათა მორფოლოგიისა და ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი კვლევის თანამედროვე ეტაპმა ცხადყო (ე. ონიანი, ჰ. სუხიშვილი და სხვა, მათ შორის თვით ამ სქემის მომხრეთა შრომებმაც: ა. ონიანი — 1978, 1989; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე — 1990...); გ) მეგრულისა და ლაზურის ორ ენად მიჩნევის შესახებ ზემოთ აღვნიშნე.

არნ. ჩიქობავას (1948) და ქ. ლომთათიძის (1993) სქემებისაგან იგი განსხვავდება იმით, რომ ისტორიულ ქართულს არ მიიჩნევს საერთო-ქართველურის უშუალო გაგრძელებად, რომელშიც დაცულია ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემა; არნ. ჩიქობავას სქემისაგან წინამდებარეს ზანურისა და სვანურის ურთიერთმიმართებაც განასხვავებს: მასთან ზანურის პირველადობაა აღიარებული, წინამდებარე სქემასა და ქ. ლომთათიძესთან კი — სვანურის.

კ.ჰ. შმიდტის (1962) მიხედვით, საერთო-ქართველური ენა ზანურის ტიპისა გამოდის, გ. წერეთლის (1965) მიხედვით კი — სვანურის ტიპისა. წინამდებარე სქემისაგან ისინი განსხვავდებიან როგორც ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემის ინტერპრეტაციით, ასევე, აქედან გამომდინარე, ისტორიული ქართველური ენების ურთიერთმიმართების ხასიათითაც.

რაც შეეხება ქართულ-ზანური ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსების თვალსაჩინო სიახლოვეს, ეს ქართულ-ზანურის ერთიანობის ჰიპოთეზით ან მხოლოდ მათი ენობრივი კონტაქტის უწყვეტლობით არ აიხსნება და მიზეზი ამ უწყვეტი კონტაქტის წყალობით ენობრივი კავშირის ჩამოყალიბებაში უნდა ვეძებოთ.

ენა და სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, დოცენტი ლია ჭეიშვილი ქართული ენის სტრუქტურული, ლექსიკური და ინტონაციური ასპექტების სწავლების პრობლემებისადმი მიძღვნილი შრომებისათვის წარდგენილია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიაზე. რედაქცია მხარს უჭერს და გამარჯვებას უსურვებს ქალბატონ ლიას.**

## 1. წარმოთქმის კილო

ბევრი სატკივარი აქვს დღეს ჩვენს სკოლას, მათ შორის, ალბათ, უმთავრესად ქართული ენის სწავლების საკითხები უნდა მივიჩნიოთ, „რადგან თვითონ ენა ადამიანისა და მისი სიტყვიერება მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ...“, ხოლო საერო სკოლა კი „... ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველი ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა...“ (ილია).

ამ წერილში გვინდა მოსწავლეთა მეტყველების დახვეწისა და სრულყოფის თაობაზე ვისაუბროთ, კერძოდ, წარმოთქმის კილოს სწავლებაზე.

წარმოთქმის კილო ენის ლექსიკურ და გრამატიკულ თავისებურებებთან ერთად მეტყველების ძირითადი კომპონენტია. წარმოთქმის კილოსა და აზრს შორის მჭიდრო კავშირია. მისი ცვლა აზრის ცვლას იწვევს. ხშირად მხოლოდ წარმოთქმის კილო განასხვავებს აზრობრივად ერთი და იმავე ლექსიკური და გრამატიკული შედგენილობის წინადადებებს. წარმოთქმის კილოს მჭიდრო კავშირი აქვს მეტყველების კულტურასთან, გამომეტყველებით კითხვასთან, პუნქტუაციასთან, მეტყველების ესთეტიკასთან. იგი არის აზრის დიფერენციაციის, სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციების გაფორმების, ადამიანის მრავალფეროვანი გრძნობებისა და ემოციების გამოხატვის საშუალება.

ფრაზა თავის სასიცოცხლო ძალას წარმოთქმის კილოთი იძენს. აქედან გამომდინარე, წარმოთქმის კილოს სწავლებას სკოლაში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ენის ლექსიკურ-გრამატიკული საკითხების სწავლებასთან ერთად და იგი მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის საზრუნავი არ უნდა იყოს.

ძალზე საყურადღებოა დიდი ილიას აზრი წარმოთქმის კილოზე: „გამომეტყველების სიძნელე კილოა, აზრის გრძნობის, სიტყვის გამოსახატავად კილო თუ მოსახდენი არ შეერჩია, მეტყველება უქმია და ვერარა ზემოქმედებას ვერ იქონიებს მსმენელებზე“, — წერდა იგი და მხედველობიდან არ რჩებოდა მეტყველების **ტემპი, დიქცია, პაუზა,** წარმოთქმის კილოს მადიფერენცირებელი ფუნქცია— უმთავრესი კომპონენტები, როცა ქართული თეატრის მსახიობთა მეტყველებაზე მსჯელობდა.

რა ძირითადი ნაკლოვანებებით ხასიათდება მოსწავლეთა (და არა მხოლოდ მოსწავლეთა) მეტყველება ამ მხრივ?

წლების მანძილზე შევისწავლიდით მოსწავლეთა მეტყველებას ამ თვალსაზრისით, კვლევა წარმოებდა მოსწავლეთა მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებით, და მიზნობრივი სავარჯიშოების გამოყენებით, მოსწავლეთა მეტყველების მაგნიტური ჩანაწერების ანალიზით (ჩაწერილი და გაანალიზებულია თბილისის, გორის, სართიჭალის, ყაზბეგის, მესტიის, ოზურგეთის, ასკანის, ძევის, მელექედურის, ხაგარეჯოს და სხვა სკოლების მოსწავლეთა მეტყველება).

კვლევის შედეგად გამოვლენილია შემდეგი დარღვევები:

1. დარღვეულია მეტყველების **ტემპი**, იგი ან **აჩქარებულია ან შენელებული.** ამის გამო მოსწავლეები ვერ აზერხებენ წინადადების სწორად დანაწევრებას სინტაგმებად და პაუზების სათანადოდ გამოყენებას, როგორც წინადადების დამანაწილებელ და გამამთლიანებელ საშუალებას. პირველ შემთხვევაში სინტაგმები და პაუზები შემცირებულია, მეორეში— მომეტებული.

2. ვერ ამყარებენ აზრობრივ და ემოციურ მიმართებებს (წარმოთქმის კილოთი) წინადადების ნაწილებსა და სინტაგმებს შორის.

3. წარმოთქვამენ წინადადებებს ან მონოტონურად, შემცირებული ემოციური ელფერით, ან ზედმეტად ემოციურად, ყალბი პათოსით, წამლერებულად. არის ფრაზისათვის შეუფერებელი ემოციური ან სრულიად უემოციოდ წარმოთქმის შემთხვევებიც.

4. ლექსის წარმოთქმისას ყოველი სტრიქონი აღქმულია, როგორც ცალკე დამოუკიდებელი ერთეული. არ არის გამოყენებული სტრიქონიდან სტრიქონზე გადასვლისათვის შესაფერისი წარმოთქმის კილო, იგი სტრიქონის ბოლოს ამაღლებულია.

5. მოსწავლეები სწორად ვერ იყენებენ კითხვის მახვილს ვერც კითხვითსიტყვიან და ვერც კითხვითი სიტყვის არმქონე წინადადებაში.

6. დიალექტურ გარემოში მოსწავლეთა მეტყველებაში ვლინდება მოცემული დიალექტისათვის დამახასიათებელი მახვილი და ინტონაცია, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს თავისუფალი თხრობისა თუ საუბრისას.

რა თქმა უნდა, ასეთი ვითარების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. მეტყველებისათვის წარმოთქმის კილოს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მოსწავლეთა მეტყველებაში არსებული ნაკლის აღმოფხვრის აუცილებლობა, მოსწავლეთა მეტყველების დახვეწა და სრულყოფა აუცილებლად საჭიროებს სპეციალური სავარჯიშოების შექმნას და გამოყენებას როგორც ენის, ისე ლიტერატურის გაკვეთილზე. ასეთი სავარჯიშოები, „ფონოკურსები“, დამუშავებული და ჩაწერილია ფირფიტებზე ფირმა „მელოდიის“ მიერ 80-იან წლებში. ფირფიტები დაეგზავნა სკოლებს. ამჟამად იგი ბიბლიოგრაფიული

დასასრული მე-16 გვ.

# ენა და სკოლა

მეთხუთმეტე გვერდიდან

იშვიათობაა. „ფონოკურსები“ ორი სახისაა, ერთი განკუთვნილია კლასთან სამუშაოდ, მეორე – შინ ინდივიდუალური მუშაობისათვის.

„ფონოკურსი“ „დაეუფლოთ წარმოთქმის კილოს“ I–VII კლასებისათვის წარმოადგენს 18 ხანგრძლივ ფირფიტას, IV–VII კლასებისათვის კი ამავე სახელწოდების 12 დრეკადი ფირფიტაა (ჩაწერილია თბილისის გრამჩამწერ სტუდიაში. მასალას კითხულობენ: ე. ტაბლიაშვილი, თ. ჭყონია, ც. შუბლაძე,დ. სოკოლოვი).

სავარჯიშოებს საფუძვლად დაედო დ. უზნაძის განწყობის თეორია– მეტყველების, კერძოდ, წარმოთქმის კილოს ობიექტივაციის და მოტივაციის ფაქტი.

სავარჯიშოების გამოყენების მიზანია გამოუმუშაოს მოსწავლეებს: მეტყველების ტემპი, პაუზების გამოყენების ჩვევა, წინადადების სინტაგმებად დაყოფის უნარი, სინტაგმიდან სინტაგმაზე გადასვლისათვის საჭირო წარმოთქმის კილოს შეხამება, წინადადების გამთლიანების ჩვევა წარმოთქმის კილოთი, წინადადებით გადმოცემული ემოციის გამოხატვა.

ლექსის ცალკეულ სტრიქონთა შორის მიმართებების დამყარება, ლოგიკური მახვილის გამოყენების ჩვევა. სავარჯიშოები უხვი და მრავალფეროვანია. მოვიტანთ ორიოდე ნიმუშს:

**სავარჯიშო. მიზანი:** წინადადებების სინტაგმებად დაყოფისა და პაუზის გამოყენების ჩვევის გამომუშავება.

**დავალება:** მოისმინე ნაწყვეტი, დააკვირდი წარმოთქმის კილოს, ყურადღება მიაქციე პაუზებს როგორც წინადადებებს შორის, ასევე ერთი წინადადების ფარგლებში. (ჩაწერილია ნაწყვეტი „შვლის ნუკრის ნაამბობიდან“ „საშინლად ცხელოდა – ... ვეღარ ბედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას“).

ვიმეორებ, მოისმინე, დააკვირდი და გაიმეორე!

უცებ, გარშემორტყმული მთების წვერებიდან, ამოცვივდნენ ღრუბლები... (პაუზა).

იმისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს (პაუზა)... (ასეა ბოლომდე...)

გააკეთე დასკვნა! უპასუხე მასწავლებელს! (ფირფიტაზე დატოვებულია საჭირო ხანგრძლივობის პაუზა). დასკვნა ასეთი უნდა იყოს:პაუზა გამოიყენება როგორც წინადადებებს შორის ,ასევე ერთი წინადადების ფარგლებში. მასთან მძიმე ყოველთვის არ დაისმის. თუ ასეთი დასკვნა არ გამოგიტანია, ხელახლა მოისმინე სავარჯიშო და დააკვირდი წარმოთქმას.

**სავარჯიშო. მიზანი;** კითხვის მახვილის გამოყენების ჩვევის გამომუშავება.

მოისმინე წინადადება, გადააკეთე კითხვითად და წარმოთქვი შესაფერისად.

მხედარმა ცხენი საძოვარზე გაუშვა (პაუზა). გადაიტანე ზმნა წინადადების დასაწყისში და წარმოთქვი შესაფერისად!

გაუშვა ცხენი მხედარმა საძოვარზე?

შეამოწმე! (ეძლევა ნიმუში). ახლა ზმნა ჩასვი წინადადების შუაში და წარმოთქვი ფრაზა შესაფერისად!

შეამოწმე! მხედარმა გაუშვა ცხენი საძოვარზე? ან მხედარმა ცხენი გაუშვა საძოვარზე? შეიძლება ასეც: მხედარმა გაუშვა ცხენი საძოვარზე? (ვიმეორებ! მეორდება ორჯერ).

ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ.

ეზოში ციცინათელები დაფრინავდნენ.ჩაწერილია I წინადადების მსგავსად.

გააკეთე დასკვნა და უპასუხე მასწავლებელს (პაუზა).

შეამოწმე!

შენი დასკვნა ასეთი უნდა იყოს (ეძლევა სწორი დასკვნა).

თუ ასეთი დასკვნა არ გამოგიტანია,ხელახლა მოისმინე ნაწყვეტი და დააკვირდი წარმოთქმას.

**სავარჯიშო. მიზანი**– სხვადასხვა სახის წინადადებათა წარმოთქმის კილოს გამეორება.

მოისმინე ნიმუშები და უპასუხე, როგორი წინადადებაა,რას გამოხატავს და რა სასვენი ნიშანი დაიწერება მათ ბოლოს. (ფირზე ჩაწერილია პასუხი კონტროლისათვის).

ბიჭო, შემაში ორი აბაზი მოგეცე? (პაუზა) შეამოწმე! ნეფე-დედოფალი მიიწვევს ყვავილებით დაფენილ ხალიჩაზე (პაუზა). შეამოწმე! თავს უშველეთ, გაიქეცით! (პაუზა). შეამოწმე! დედამიწავ, კიდევ გაგვიჩინე ბინა! (პაუზა) შეამოწმე! ბიჭოს,თითქოს ორჯერ დავთვალე! (პაუზა) შეამოწმე! და ა.შ.

სწორი პასუხები აქ აღარ მოგვაქვს. ანალოგიური სავარჯიშოებია მოცემული შინ დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ ფირფიტებზე.

სწორი წარმოთქმის ჩვევის გამომუშავება მიმდინარეობს მეტყველების – აღქმით-მოტივაციურ, სა[illegible] და შესრულებით ფაზებზე დაყრდნობით. ჩანაწერებთან ერთად ნავარაუდევია სქემა– ტაბულების გამოყენება სხვადასხვა ვარიანტის გაკვეთილებზე.

მუშაობა პირობითად შეიძლება რამდენიმე ეტაპად წარმოვიდგინოთ:

I. წარმოთქმის კილოს ობიექტივაცია, სწორი წარმოთქმის მოთხოვნილების გაჩენა, განწყობის შექმნა, მოტივაციის ფაქტი.

II. მოსწავლეთათვის მოქმედების პირობების შექმნა აღძრული მოთხოვნილების რეალიზაციისათვის.

III. მოქმედება გარეგანი მეტყველებით (საკითხის არსის გახსნა მატერიალიზებული მასალით,თანმიმდევრული კონტროლი).

IV. მოქმედება გონებრივი ფორმით, ოპერირება ჩუმად,თავისთვის, განზოგადება, დასკვნა.

V. დასწავლა. ა) ვარჯიში ახლადმიღებული ცოდნის განსამტკიცებლად; ბ) ვარჯიში მიღებული ცოდნის ჩვევად ქცევისათვის.

„ფონოკურსების“ გამოყენების საბოლოო მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეს შინაგანი მზაობა, წარმოთქმის კილოს განწყობა, ბუნებრივი მოთხოვნილება იმისა,რომ ნებისმიერი ტექსტის თხრობის, ან ჩვეულებრივი თხრობის დროს წარმოთქმის კილო ფიგურირებდეს, როგორც მისი მეტყველების განუყოფელი კომპონენტი.

(ფირფიტების გამოყენების მეთოდიკა გამოქვეყნებულია წიგნში „სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ქართული ენის გაკვეთილებზე V–VIII კლ., გამომც. „განათლება“, 1982 წ.).

**ლია ჭეიშვილი**

ივერიელი ბიბლიოთეკა

## რა ენა წახდეს

### სინონიმურ სიტყვათა ხმარებისათვის

# წმინდა თუ სუფთა?

ქართულში ბევრი სინონიმური სიტყვა მოგვეპოვება. ხვე, ბედი და იღბალი, შიშველი და ტიტველი, სინდისი და ნამუსი, ტყირპი და ელენთა, თირკმელი და ჭაჭა, ტირიფი და ნერგი და სხვა მრავალი. ამათ მოგვაგონებს თანამედროვე ქართულში **წმინდა** და **სუფთა**. თუ სხვა სინონიმურ სიტყვებთან მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხი მწვავედ ან საერთოდ არა დგას, ეს ორი უკანასკნელი საგანგებო განხილვას მოითხოვს.

ძველ ქართულში მხოლოდ **წმიდა** იხმარებოდა და მას სამი მნიშვნელობა ჰქონდა; ეს იყო: ა) წმინდანი (святой: წმიდა გიორგი, წმიდა შუშანიკ); ბ) წმინდა (წმინდა სული, წმინდა სახელი, წმინდა გრძნობა) და გ) სუფთა (წმინდა სამოსელი). უკანასკნელი მნიშვნელობა (სუფთა) დღესაც შემონახულია სიტყვებში: გაწმენდა, გადაწმენდა, დაწმენდა და გამოთქმებში: იატაკის გაწმენდა, ფეხსაცმლის (ტანისამოსის) გაწმენდა, იარაღის გაწმენდა, ეზოს (გზის, ყანის, მიწის) გაწმენდა... ფეხსაცმლის მწმენდელი (და არა მწმენდავი), დაგვილ-დაწმენდილი, დაწმენდილ-დარეცხილი, დაწმენდილ-დასუფთავებული და სხვა.

მოგვიანებით შემოვიდა იმავე მნიშვნელობის სიტყვა **სუფთა**. ვარაუდია, რომ იგი სპარსულიდანაა ნასესხები. ძველ ქართულსა (IX—X საუკუნის სახარებაში) და „ვეფხისტყაოსანში" ეს სიტყვა არ იხმარება. იქ ყველგან წმიდა გვხვდება. შემოსული სიტყვა რომ დამკვიდრებულიყო ენაში, მას მანამდე არსებული სიტყვა უნდა ამოეგდო, დაეკარგა, ან მნიშვნელობაში ცვლილება უნდა შეეტანა. ასედაც მოხდა: ორივე სიტყვა დარჩა ხმარებაში, მაგრამ მნიშვნელობაში თვალსაჩინო სხვაობა გაჩნდა. ეს განსხვავება კარგად აქვს აღნიშნული სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში. მისი ახსნით, **წმინდა** შეიძლება იყოს ნაკურთხი პური, ღვინო, წყალი, ზეთი, კურთხევით გაწმენდილი ადამიანი, მაგრამ **სუფთა** ითქმის იმაზე, რაც განიბანება ან გაირეცხება (სამოსელი, ჭურჭელი).

აქედან ჩანს, რომ **სუფთაა**, რაც არაა ბინძური, ჭუჭყიანი, რაიმე მტვერი, ტალახი, ჭუჭყი, ჭონი, ჟანგი და მსგავსი რამ არა აქვს ან, თუ აქვს, ბანით, რეცხვით, წმენდით მოსცილდება, ჰიგიენური საშუალებით მოშორდება.

**წმინდაა** „უცოდველი", ფაქიზი, შეურყვეველი, შეურყვნელი, კამკამა, დარკვეული, დარჩეული; მაგალითად, შეიძლება იყოს წმინდა ადამიანი (ზნით, ქცევით, საქმიანობით), წმინდა ადგილი (ნაკურთხი, სალოცავი ადგილი), წმინდა (შეურყვეველი) ღვინო, წმინდა სანთელი, წმინდა (კამკამა) წყალი, წმინდა გრძნობა და სხვადასხვა.

მხატვრული ლიტერატურისა და პრესის ენაში, სამწუხაროდ, ეს ორი განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა არეულია. შეიძლება მეტიც ითქვას, ვკარგავთ ქართულ სიტყვას **წმინდას** და ვამკვიდრებთ, ვაბატონებთ გვიან შემოსულ, ნასესხებ სიტყვას **სუფთას**. ამის გამო უკანასკნელს ვხმარობთ შეუფერებლად, უადგილოდ. საამისო ნიმუშები ბლომად მოიპოვება ლექსებსა და მოთხრობებში, პრესაში: „საქართველოს სუფთა ზეცა"; „ბმა რაკრაკა, სუფთა, ტკბილი"; „სამშობლო... მორთული და სუფთა გვქონდეს"; „სუფთა ქცევამ ყველა შეარიგა"; „სცენაზე ისმოდეს სუფთა და გამართული ლიტერატურული ენა"; „იმატა სუფთა გამარჯვებათა რიცხვმა"; „მიხა... სუფთა ქცევისაა და მარტივ ცხოვრებას მისდევს"; „სუფთა გრძნობა" და სხვა მრავალი.

ეს არევა გამოწვეულია იმითაც, რომ ორივე სიტყვა რუსულად აღნიშნავს чистый-ს და თარგმნიან უმეტესად სუფთად: чистый вес სუფთა წონა, чистая победа სუფთა გამარჯვება და სხვა.

არის შემთხვევები, როცა ორივე სიტყვა მსაზღვრელად პარალელურად შეიძლება ვიხმაროთ, მაგრამ არა ერთმანეთის მონაცვლედ, არამედ თავისი განსხვავებული მნიშვნელობით: „სუფთად შენახული ეზო-ყურე" და „წმინდად შენახული ზნე-ჩვეულება"; „სუფთა ადამიანი" და „წმინდა ადამიანი"; „სუფთა წყალი" და „წმინდა წყალი" და სხვა.

ამისდა მიხედვით სწორი, მართებული გამოთქმა იქნება:

წმინდა აბრეშუმის ძაფი, წმინდა ადგილი, წმინდა ალაგი;

წმინდა გამარჯვება, წმინდა გრძნობა, წმინდა გული;

წმინდა ენა, წმინდა ქართული ენა;

წმინდა მოგება, წმინდა მოვალეობა;

წმინდა პედაგოგიური მოქმედება;

წმინდა სავანე, წმინდა სავარცხელი, წმინდა სანთელი, წმინდა საქმე, წმინდა სიყვარული, წმინდა სული;

წმინდა ტაძარი, წმინდა ფიცი;

წმინდა შალი, წმინდა ძაფი;

წმინდა წონა, წმინდა წყარო, წმინდა ხმა და სხვა მრავალი.

მაგრამ:

სუფთა ბოსელი, სუფთა ეზო;

სუფთა ზეწარი, სუფთა ლოგინი, სუფთა ქვეშაგები;

სუფთა ოთახი, სუფთა სახლი;

სუფთა პერანგი, სუფთა საცვლები;

სუფთა ტანისამოსი (სუფთა ფეხსაცმელი, წაღა, ჩექმები), სუფთა წინსაფარი;

სუფთა ტანი, სუფთა ხელი (თითი);

სუფთა ქაღალდი, სუფთა წერა;

სუფთა ჩაცმა-დახურვა;

სუფთა ჭურჭელი (ჭიქა, თეფში, დანა-ჩანგალი...) და სხვა.

მაშასადამე, **წმინდა** იხმარება ფაქიზი გრძნობის, კეთილი მორალური თვისების, შეურყვნელის, შეურევლის აღსანიშნავად, ხოლო სუფთა — უჭუჭყოს, არაბინძურის, გაბანილის, გარეცხილის, გაწმენდილის გამოსახატავად. ამიტომ გასაგებია, რატომ არ შეიძლება ითქვას: სუფთა გრძნობა, სუფთა გამარჯვება, სუფთა სიყვარული, სუფთა სიმღერა და სხვა.

**ვარლამ თოფურია**

**წიგნიდან „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი"**

# „ბოდიში" და არა „ბოდიშით"

სიტყვა ბოდიში ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში ასეა ახსნილი: „წუხილის გამოთქმა, პატიების თხოვნა თავისი შეუფერებელი საქციელისა და სიტყვის გამო". **ბოდიში** არსებითი სახელია. იგი იბრუნვის, მაგ.: ბოდიში მოიხადა, ბოდიშ-ს იხდის და ა.შ. როგორც აბსტრაქტულ არსებით სახელს, ჩვეულებრივ, მხოლოდ მხოლობითი რიცხვის ფორმები უნდა ჰქონდეს, ასე რომ, ბოდიშ-ებ-ი არასწორი ფორმაა. თუმცა ზეპირმეტყველებაში ხშირად ვხვდებით ასეთ გამოთქმებს: „იმდენი ბოდიშები მიხადა, რომ შემაწუხა თავისი ბოდიშებით". თუ გსურს, აღნიშნული სიტყვა მრავლობითი რიცხვის გაგებით ვიხმაროთ, უმჯობესია, აღწერითი ფორმები გამოვიყენოთ: ბევრი ბოდიში, მრავალი ბოდიში: „თუმცა მართალია, სახლის პატრონი ბევრს ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილ კისერსა" (ილია).

ბოდიში სიტყვიდან — ობა სუფიქსით ნაწარმოები ფორმაც მოგვეპოვება ბოდიშობა (საპირისპირო უბოდიშობა). მაგ.: „მომკლა მაგის ბოდიშობამ". ამავე სიტყვის ფუძიდან არის ნაწარმოები სტატიკური ზმნაც: „ბოდიშობს".

სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში" წერს: „ბოდიში ესე არს სიტყვათა და საქციელთა კაცი „მოიმადლო". შემდეგ მიუთითებს: „ნახე თავაზა". „თავაზა სხვათა ენაა. ქართულად ბოდიში ჰქვიან". ასე რომ, სიტყვა ბოდიში თავისი მნიშვნელობით თავაზიანობის გამომხატველია.

ქართულში ჩვეულებრივ თავაზიანი მიმართვის დროს ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმებს ვიყენებთ ხოლმე, მაგ.: ინებე-თ, თქვი-თ, დაწერე-თ, ბრძანე-თ...(მრავლობითობა-ზე ერთი კაცის მოქმედება). მოცემულ ზმნებში —თ სუფიქსი სწორედ თავაზიანობის გამომხატველია. ანალოგიის პრინციპით აღნიშნული სუფიქსი სახელებში გადაიტანეს (მაგ.: კარგ-ი-თ, თქვენი ჭირიმე-თ და სხვ.), რაც არ არის სწორი.

განსაკუთრებით ხშირად გავიგონებთ ტრანსპორტსა და ქუჩაში ასეთ გამოთქმას: ბოდიშ-ი-თ, ეს სხვა არაფერია, თუ არა სახელობითი ბრუნვის ფორმა, რომელსაც ზმნის ანალოგიით თავაზიანობის გამოსახატავად —თ სუფიქსი დაერთო, რაც, როგორც უკვე ვთქვით, უმართებულოა. აღნიშნული სუფიქსის ადგილი ზმნებშია და არა სახელებში.

ამდენად, უნდა ვიხმაროთ **ბოდიში** და არა ბოდიშით.

**მერი ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეპლიკა

# მოგონებათა მოგონება ანუ გამოგონება

მოგონებებს წერენ ისინი, ვისაც რაიმე მნიშვნელოვანი აქვს მოსაგონარი. ასეთი მოგონებები, ჩვეულებრივ, პირადად ნანახს და განცდილს ეყრდნობა. მოგონების პუბლიკაცია მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუ ის მოცემული საზოგადოებისათვის ან ისტორიისათვის ღირებულ ინფორმაციას შეიცავს. მოგონებაში მოთხრობილზე პასუხისმგებელია, ბუნებრივია, მისი ავტორი. ცხადია, მოგონება არ წარმოადგენს ავტობიოგრაფიას და არც საკუთარი პიროვნების დახასიათებაა მისი ამოცანა. მოგონება ობიექტურობას მოითხოვს სხვათა შეფასებისას და რეალურად მომხდარის გადმოცემას. და მაინც ხშირად მოგონებებში ვხვდებით ბევრ გამონაკლისს, ზოგჯერ კურიოზებსაც (გავიხსენოთ თუნდაც ქ. გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი"-დან ის ეპიზოდი, სადაც ავტორს ბავშვის მუცე ძაღლს ეკბერებოდა).

მთავარი მაინც ისაა, რომ, თუ მოგონებებში გადმოცემულ ამბებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ იმ საზოგადოებისათვის,რომლისთვისაც ისინი იწერება, ამგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება, რბილად რომ ვთქვათ, მიზანშეწონილი არ არის, მით უფრო, თუ მოგონებებში მოთხრობილი ამბები მხოლოდ სხვისი ნაამბობიდან იცი და იმ მოვლენებს პირადად არ შესწრებიხარ, მათში მონაწილე პირები არ გიცნობია, ასეთი ინფორმაციის სანდოობა მიზერულია: მკითხველმა ჯერ შენი ობიექტურობა უნდა ირწმუნოს, მერმე კი — შენი ზეპირი წყაროსი (რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაშია მკითხველი, თუ მოგონების ავტორის წყარო წერილობითია). ერთი პიროვნების მიერ გახსენებულის საფუძველზე „მოგონებათა" აგება ანუ „მოგონებათა მოგონება" ძალზე ახლოს დგას გამოგონებასთან.

ამ ზოგად მსჯელობას არავითარ შემთხვევაში არა აქვს „დამოძღვრის" პრეტენზია. ელემენტარულ ჭეშმარიტებათა გახსენება დაგვჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი „მოგონებათა მოგონება" სათაურით — „მოგონებათა ფრაგმენტები" გამოქვეყნდა გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა" (№3 (8), 1996 წ.). როგორც რედაქციის მიერ დართული კომენტარიდან ჩანს, მის ავტორს — გ. ბურჭულაძეს — ჩაუწერია ა. ჩიქობავას მიერ მისთვის სხვადასხვა დროს ნაამბობი გამოჩენილ ადამიანთა შესახებ. ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი სტილისტური მხარე ამ სტატიისა ის გახლავთ, რომ მასში დომინირებს ზმნის I თურმეობითის ფორმები: სცოდნიათ, მოუტანიათ, უთქვამს, შეჰკითხვია, გამოუხატავს, მოუხერხებია, ყოფილა და სხვა. ა. შანიძის მიხედვით, I თურმეობითი უნახავი აქტის ფორმაა და „ავიწყებს მოქმედებას, გათვალისწინებულს რეზულტატის ანუ შედეგის მიხედვით ან სხვისგან გაგონილს (ხაზი ჩვენია — ბ.გ., ქართ.გრამ.საფ.1953, გვ. 226). ცხადია, თუკი არაფრის მომსწრე პირადად არ ხარ, არაფერი გინახავს და მხოლოდ გაგონილის მიხედვით სწერ მოგონებას, I თურმეობითი უნდა იხმარო. მაგრამ სად არის გარანტია ამ გაგონილის ნამდვილობისა? წერილობითი სახით ა. ჩიქობავას მოგონებანი არაა ცნობილი. ასეთ არამყარ ნიადაგზე დაფუძნებულ მონათხრობს,რომელიც ქვეყანათვის ცნობილი პიროვნებების (ნ. მარის, გ. ახვლედიანის, ვ. ვინოგრადოვის) გაქილიკებას შეიცავს, როგორ უნდა მიეცეს მწვანე გზა? ის, რომ თითქოს ი. სტალინს ნ. მარზე უთქვამს „Марр дурак!", ან თითქოს ა. ჩიქობავას გ. ახვლედიანი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და გამოჩენილი მეცნიერი, მენშევიკებისათვის შეუდარებია, ხოლო ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ვ. ვინოგრადოვი მეცნიერების ნაცვლად სამსახურებრივ მანქანას ჩაბღაუჭებია, გამოგონებათა რიცხვს მიეკუთვნება და ვერაფრით ვერ შეარყევს მათს ავტორიტეტს. უფრო სავალალო ისაა, რომ ასეთი მოგონებების წყალობით არასრულფასოვნად წარმოჩნდება თვით გამოჩენილი მეცნიერის ა. ჩიქობავას პიროვნება, რაც მთლიანად „მოგონებათა ფრაგმენტები"-ს ავტორის „დამსახურებაა", თუმცა შესაძლოა, იგი სულ სხვა მიზანს ისახავდა თავის წერილში.

ერთი საყვედური რედაქციის მიმართაც: „ბურჯი ეროვნებისა" არ შეიძლება არ გაუფრთხილდეს „ერთ-ერთი ასეთი ბურჯის — გ. ახვლედიანის სახელს. სხვაგვარად გაზეთის სახელი გაუმართლებელი იქნებოდა.

**ბაქარ გიგინეიშვილი**

რედაქციისაგან: ვეთანხმებით ბატონ ბაქარ გიგინეიშვილს რეპლიკის შესავალში დასმულ ზოგად საკითხებში, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ჩვენი პუბლიკაციის შეფასებაში. თქმა იმისა, რომ ეს მოგონებები „გამოგონებათა რიცხვს მიეკუთვნება", მძიმე ბრალდებაა.

ვერც რედაქციის მიმართ გამოთქმულ შენიშვნას გავიზიარებთ: გვჯერა, მოგონებათა იმ ფრაგმენტებიდან, რომლებშიც აკადემიკოს გ. ახვლედიანზეა საუბარი, არ ადგება ჩრდილი ბატონი გიორგის სახელს.

გარდა ამისა, ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის დამოკიდებულება ბატონი გ. ახვლედიანისადმი ამ ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციიდანაც ჩანს. ბატონმა ბ. გიგინეიშვილმა იცის,რომ ბატონი გ. ნახუცრიშვილის წერილი კარგახანია მზადა გვაქვს დასაბეჭდად, მაგრამ აპრილის ნომერს ველოდებოდით: ასე გამოეხმაურა ჩვენი გაზეთი ბატონების ვ. თოფურიას, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას დაბადების თარიღებსაც.

ერთი ცნობაც: წერილობითი სახით არნ. ჩიქობავას მოგონებები ცნობილია (იგი ორჯერაა დამოწმებული „მოგონებათა ფრაგმენტებში").

## ქრონიკა

### სამეცნიერო სესიები

1996 წ. 27 თებერვალს გაიმართა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტერმინოლოგიის რესპუბლიკური ცენტრის გაფართოებული სხდომა — სამეცნიერო სესია, რომელიც ტრადიციისამებრ მიეძღვნა მისი ერთ-ერთი დამაარსებლის და პირველი მეცნიერ-ხელმძღვანელის — ვარნაოზ ერთელიშვილის — ხსოვნას.

მოხსენებები წაიკითხეს მუქია აფრიდონიძემ, ქეთევან გიღერძიშვილმა, უშანგ სახლთხუციშვილმა, მურად კემულარიამ, პაატა ცხადაიამ.

* * *

1996 წლის 14 მარტს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის ინიციატივით გაიმართა აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მოხსენებები წაიკითხეს: მზექალა შანიძემ, თინათინ ცქიტიშვილმა, ეთერ ბასილაშვილმა, მაია მელიქიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, ნინო დობორჯგინიძემ, თინათინ ბოლქვაძემ.

* * *

1996 წლის 26-29 მარტს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები VII". სამეცნიერო სესიაზე წაკითხული იქნა 42 მოხსენება ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე.

მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები დაიბეჭდა.

### გელათის მეცნიერებათა აკადემიაში

1996 წლის 18 თებერვალს, ქუთაისში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე, ორ ტურად გამართული ფარული კენჭისყრით აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულ იქნა პოეტი ტარიელ ჭანტურია.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის წესდებით გათვალისწინებული 21 აკადემიკოსიდან ამჟამად უკვე არჩეულია 18.

### საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია

დაარსდა საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია (სლა), რომელიც მიზნად ისახავს, გახდეს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მაორგანიზებელი ცენტრი. იგი კოორდინაციას გაუწევს მეცნიერულ კვლევა-ძიებას; ითანამშრომლებს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან... ვიმედოვნებთ, სლა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში.

სლა-ს პრეზიდენტი არის პროფესორი ლევან მენაბდე. აკადემიის შემადგენლობაში არჩეულნი არიან: რევაზ ბარამიძე, ჯონდო ბარდაველიძე, ოთარ ბაქანიძე, იგორ ბოგომოლოვი, დავით ბრეგაძე, ენრიკო გაბიძაშვილი, ტარიელ კვანჭილაშვილი, დავით ლამქარაძე, რომან მამანიშვილი, გიორგი მერკვილაძე, ნატალია ორლოვსკაია, ნოდარ ტაბიძე, მიხეილ ქავთარია, ალექსანდრე ღლონტი, გურამ შარაძე, ზურაბ ქარხალაშვილი, ჯუმბერ ჭუმბურიძე, ოთარ ჭურღულია, აკაკი ხინთიბიძე.

### დაჯილდოვდა პრემიით

საქართველოს რადიოჟურნალისტთა ასოციაციამ გასული წლის საუკეთესო გადაცემად აღიარა რადიოპროგრამა „ენაი შემკული და კურთხეული". დედაენის სიწმინდის დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის, მხატვრულად და პროფესიულად საუკეთესოდ მომზადებული გადაცემებისათვის რადიოპროგრამის ავტორი და რედაქტორი თამაზ ხმალაძე დაჯილდოვდა პირველი პრემიით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბაგანა



# კროსვორდი



**თარაზულად:** 4. ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც აქვს მოძრაობისა და შეგრძნების უნარი — სულდგმული; 5. ხისინა შინაური ფრინველი, ძველ ქართულად ლერღუტად წოდებული; 7. შინაური ან გარეული ფრინველი, რომელსაც შეხანიშნავად ეხერხება ცურვა და ყვინთვა; 9. ძაღლის ან მგლის შვილი; 11. ჯიშიანი ცხენი, რომელსაც ძირითადად მხედრები იყენებენ; 12. დედალი — ძროხა, მამალი — ?; 13. მამალი აქლემი ანუ...; 15. საჯდომი ცხენი — ბედაური; 17. მწყემსის ხანთა; 18. იხვის ან ბატის შვილი; 21. ლომის, ვეფხვის შვილი; 23. ინდოეთიდან შემოყვანილი შინაური ფრინველი.

**შვეულად:** 1. დიდი შინაური ჩლიქგაუყოფელი ცხოველი, იყენებენ შესაჯდომად, შესაბმელად...; 2. ცხენის შვილი; 3. მამალი ცხენი ანუ...; 6. მაღალი, ერთი ან ორკუზიანი მცოხნელი ცხოველი; 8. დიდი მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა; 10. აქლემის შვილი; 14. მაღალ მთებში მცხოვრები დიდი მტაცებელი ფრინველი; 16. დედალი ცხენი ანუ...; 19. დედალი კამეჩი ანუ...; 20. არწივის მიერ ცაში შემოხაზული წრე; 22. მოზრდილი წიწილა.

შეადგინა
მაია კობიაშვილმა

# როგორ ვიცნობთ ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს?

## ვითამაშოთ დეპეშებით

დეპეშებს საჭირო შემთხვევაში უგზავნიან ერთმანეთს, ჩვენ კი დეპეშით თამაშს გასწავლით. უნდა შეარჩიოთ რაიმე სიტყვა და შეადგინოთ დეპეშა, რომლის პირველი სიტყვა იწყება შერჩეული სიტყვის პირველი ასოთი, მეორე სიტყვა — მეორე ასოთი და ა.შ. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა „ბაკურიანი". ბაკურიანიდან ამირანმა მიიღო დეპეშა: „ბაკურიანში კარგი ამინდია. უამრავი რაღაცებით იმეორებ. მოდით. ბევრი თოვლია. ავთო". თბილისიდან კი ამირანმა პასუხა დეპეშით „კარადა": „კვირას ამოვალთ. რეზო ადვილებლად დაგვხვდეს. ამირანი".

ლარსაბმა დარეჯანს გაუგზავნა დეპეშა „ჩიხირთმა": „ჩამოვდივარ. იყიდეთ ხორცი, იყოს რქაწითელი, თართი, მწვადი, არტალა". დარეჯანმა კი უპასუხა დეპეშით „ბოზბაში". ახლა თქვენ მოიფიქრეთ, რა ეწერა დარეჯანის დეპეშაში. შეარჩიეთ კიდევ ახალ-ახალი სიტყვები და გაუგზავნეთ დეპეშები ერთმანეთს.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. გრილი; 2. ასულია; 3. მაგრამ; 4. ზია-ხანუმ; 5. რეტდასხმული; 6. დაიმონებს; 7. ემსახურო; 8. ლამპარი; 9. ინალიფა.

## გინესის რეკორდების წიგნიდან

### ყველაზე გავრცელებული ენები

დღეს მსოფლიოში ლაპარაკობენ 5000 ენასა და დიალექტზე. მხოლოდ ინდოეთში ეს ციფრი 845-ს აღწევს. მსოფლიოს ყველა ენასა და დიალექტს შორის მოლაპარაკეთა რაოდენობით პირველ ადგილზეა ჩინური ენის მანდარინული დიალექტი, რომლითაც, 1989 წლის მონაცემებით, სარგებლობს ჩინური მოსახლეობის 68%. ეს შეადგენს დაახლოებით 748 მილიონ კაცს. ე.წ. ნაციონალური ენა „გოიუე" წარმოადგენს ჩინური ენის ჩრდილოური დიალექტის სტანდარტიზებულ ფორმას, რომელზედაც ლაპარაკობენ პეკინის რაიონში.

ჩინურის შემდეგ მეორე ადგილზეა ინგლისური ენა. დაახლოებით 330 მილიონი კაცი მიიჩნევს მას მშობლიურ ენად, ხოლო მათი რიცხვი, ვისთვისაც ინგლისური მეორე ან მესამე ენაა, ორჯერ უფრო დიდია.

### უდიდესი პოლიგლოტები

ისტორიაში ცნობილი უდიდესი პოლიგლოტებია: იტალიელი კარდინალი მეცოფანტი (1774-1849), დანიელი პროფესორი რასკი (1787-1832) ახალი ზელანდიელები სერ ჯონ ბაურინგი (1792-1872) და დოქტორი ჰაროლდ უილიამსი.

მეცოფანტი ფლობდა 27 ენას, ხოლო დანარჩენები — 28-ს.

დღევანდელობის ყველაზე ცნობილ პოლიგლოტად ითვლება ჯორჯ გენრი შმიდტი, რომელიც 1965-71 წლებში ხელმძღვანელობდა გაეროსთან არსებულ ტერმინოლოგიის სექციას.

1975 წ. გამოცემულ გაეროს ცნობარში აღნიშნულია, რომ ჯ. შმიდტი ფლობს „მხოლოდ" 19 ენას და დროის უქონლობის გამო ვერ ახერხებს დანარჩენი 12 ენის აღდგენას.

ინგლისში უდიდეს პოლიგლოტად ითვლება ბი-ბი-სის თანამშრომელი ჯორჯ კემპბელი (დაბ. 1912), რომელიც მუშაობის დროს იყენებდა 54 ენას.

# ითვლება და არის

რუსთავის ქართული გიმნაზია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულად ითვლება. „ითვლება" არ გულისხმობს ფორმალურ კავშირს. უნივერსიტეტისა და გიმნაზიის აქტიური ურთიერთთანამშრომლობის არაერთი ფაქტი ადასტურებს: გიმნაზიის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარეა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი კორნელი დანელია; გიმნაზია საუნივერსიტეტო განათლების სისტემის გათვალისწინებით მუშაობს; სალექციო კურსები უნივერსიტეტის პედაგოგებს მიჰყავთ; მოსწავლეთა ნაწილი საკონფერენციო თემებს უნივერსიტეტის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ამუშავებს (ეს, უპირველესად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგნის ეხება). ყველა საჭირო შემთხვევაში, უნივერსიტეტი გიმნაზიას გვერდით უდგას. ამ მხრივ, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის მიმართ, რომლის თანამშრომელთა შეწევნით, იქმნება გიმნაზიის ხელნაწერი სალიტერატურო ჟურნალი „ადამიანი"; მისი ინტერესების სფერო სცილდება გიმნაზიისა და უნივერსიტეტის ცხოვრებას და სრულიად საქართველოს მოიცავს (გასვლითი ექსპედიციები ამ მიზანს ემსახურება). მოსწავლეები ხვდებიან ადამიანებს, რომელთა მოგონებებშიც ამოიკითხება „ბედი რჩეულ ფერის". ამ მოგონებათა (თანდართული ფოტო და ვიდეომასალით) შთამომავლობისთვის შემონახვა კი, ვფიქრობთ, დიდებული და, ამავე დროს, პასუხსაგები საქმეა. ამ საქმესთან შეჭიდებული ახალგაზრდები მე-11 ჰუმანიტარული კლასის მოსწავლეები არიან — მანანა მათიაშვილი (რედაქტორი), ნანა რევაზიშვილი, ნინო ლეონიაშვილი, ნესტან ჭუმბურიძე, სოფიკო ფეიქრიშვილი, მაია ზაკალაშვილი, რუსუდან ყაზიშვილი, რუსუდან მხეიძე. ისინი, როგორც გიმნაზიის მოსწავლეთა უმრავლესობა, შემოქმედებითი უნარითაც* არიან დაჯილდოებულნი. უფროსებს ისღა დარჩენიათ, მოიძიონ და აღმოაჩინონ ნიჭიერი ბავშვები ისე, როგორც თავად ბავშვები ეძებენ და პოულობენ კიდევ ადამიანს სალიტერატურო ჟურნალისთვის, რომელსაც ჰქვია „ადამიანი".

ბოლოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ: 6 მარტს თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ რუსთავის ქართულ გიმნაზიას [illegible] გადაეცა [illegible] რებული მოწმობა. ვულოცავთ ამ ღირსეულ შეფასებას გიმნაზიის დირექტორს, ქალბატონ ნანა მიხიძეს, გიმნაზიის პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებს, ყველას, ვისაც ახარებს მომავალი თაობის ყოველი წარმატება.

**ლალი ნემსაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება: წინა ნომერში დ. ცინცაძის წერილში „ვისი აღმართი?" დასაწყისში უნდა იკითხებოდეს:

პავლე ციციანოვი რუსეთის მეფის ალექსანდრე 1-ის განკარგულებით 1802 წლის 11 სექტემბერს დაინიშნა ამ თანამდებობაზე. 1806 წლის იანვარში კი ბაქოს აღებისას მოკლეს.

# მიხეილ ჭაბაშვილი



ქართულმა ფილოლოგიურმა სკოლამ დაკარგა ძველი თაობის კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ფართო ერუდიციის, მაღალი კვალიფიკაციისა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების ენათმეცნიერი ლექსიკოგრაფი, ღვაწლმოსილი პიროვნება ბატონი მიხეილ ჭაბაშვილი.

მიხეილ ნიკოლოზის ძე ჭაბაშვილი დაიბადა 1916 წლის 14 ოქტომბერს. დაამთავრა თსუ კავკასიური და აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ, 1944-47 წლებში, სწავლა განაგრძო ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

სტუდენტობისა და ასპირანტურაში სწავლის წლებში მ. ჭაბაშვილმა გაიარა პროფესიული მომზადების დიდი სკოლა ქართული მეცნიერული აზრის ისეთი კორიფეების ხელმძღვანელობითა და ხელდასხმით, როგორებიც იყვნენ ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა და ს. ყაუხჩიშვილი და, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ასპირანტურის დამთავრებისთანავე დაეკისრა მას ერთობ მნიშვნელოვანი მოვალეობა, როგორც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, შემდეგ კი ამ კომისიის მდივანს. სწორედ განმარტებითი ლექსიკონი გახდა ის მადლიანი სამჭედლო, რომელმაც ბატონი მიხეილი ჩამოაყალიბა უმაღლესი კვალიფიკაციის ლექსიკოლოგ-ლექსიკოგრაფად. მეცნიერი აქტიურად მონაწილეობდა განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის ლექსიკური მასალის დამუშავებაში, ხოლო მეოთხე ტომი უშუალოდ მისი რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა. სწორედ ამ სამუშაოებისათვის დაიმსახურა მეცნიერმა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

განმარტებით ლექსიკონზე მუშაობა ბატონ მიხეილს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. რვატომეულის საფუძველზე მისივე დამახასიათებელი რედაქციით მომზადდა ერთტომეული (1986 წ.). მეცნიერი დღემდე ხელმძღვანელობდა ქართულ სინონიმთა ლექსიკონის მომზადებას. მისივე ხელმძღვანელობით მუდმივად მიმდინარეობდა განმარტებითი ლექსიკონის ფონდის შევსება.

ფართო განათლება, სერიოზული ლექსიკოლოგიური მომზადება, კლასიკური ენების ცოდნა საშუალებას აძლევდა ბატონ მიხეილს ნაყოფიერად ეკვლია ქართულ სალიტერატურო ენაში სხვადასხვა დროს შეთვისებული უცხოური ლექსიკა. ამ კვლევის ნაყოფია ყველა წიგნიერი ქართველის სამაგიდო წიგნი — „უცხო სიტყვათა ლექსიკონი", რომელიც 1964 წლიდან დღემდე სამჯერ გამოიცა.

მეცნიერის მაღალი კვალიფიკაცია იყო საფუძველი იმისა, რომ თანამედროვე საქართველოში ფაქტობრივ არ მომზადებულა რაიმე ისეთი აკადემიური ლექსიკოგრაფიული თუ ნორმატიული ხასიათის ნაშრომი და არ ყოფილა სალიტერატურო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ისეთი ღონისძიება, რომელშიც ბატონ მიხეილს მონაწილეობა არ მიეღო. იგი გახლდათ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, ენციკლოპედიის სატრანსკრიპციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი, სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიების დამუშავების საკონსულტაციო საბჭოს წევრი... მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მომზადდა არაერთი ნაშრომი და გამოიცა არაერთი ლექსიკონი...

ბატონი მიხეილი იყო ჭეშმარიტი მოქალაქე, გულმტკივნეული შვილი თავისი ქვეყნისა, ვინც ბოლომდე განიცდიდა და გულშემატკივრობდა საქართველოს თანამედროვეობას, ოცნებობდა მის მომავალზე და ერთ-ერთ მთავარ საგზლად ალბათ სწორედ ამ ფიქრს გაიყოლებდა.

კურთხეული იყოს მეცნიერის ღვაწლი მომავლის წინაშე!

არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება

ბაზეთი „ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, № 1686

მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8.

ფასი
40 თეთრი